კაკა ედზისელი

კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრუსელი



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვეფ ეტრელელი



კოლხური ფსალმუნები

ტომი 45

2020

მთ. რედაქტორი **მურმან ჯგუბურია**
პოეტი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა **„უნივერსალი", 2020**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-852-6 (45 ტომი)

* * *

ვაჟა ეგრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟაფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და შაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „გაჯადღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ძუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯეროობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

გულნაზ ხარაიშვილი
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჭავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

„ბულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

ეპითეტებსა და სახეებზე საუბრისას შევდივართ პოეტის იმ სამყაროში, სადაც სიტყვაა მეუფე, პოეტის სიტყვა განუმეორებელია, მოულოდნელი, პოეტური გადასვლისა და ასოციაციის მოლოდინით ვიძაბებით და ჩვენც გვჯერა:

*

„ქართული სიტყვის მარანში,
მაჭარით დაუდუღარით –
ვავსებ ჭურებს და ლაგვანებს,
მსურს ჩემი ღვინო –
სხვას ჰგავდეს,
მაგრამ ვერაფრით ვამგვანებ“.

ამ ლექსის წაკითხვა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ პოეტური აზროვნება

დიადი ენერგიის აფეთქების უნარი და გულით განსჯაა, რამეთუ:

*

„სამშობლო იყო ჩემი ოცნება...
მამულო ჩემო!
დღე და მოსწრება,
შენს ლაჟვარდოვან ცაზე ვკიდებდი –
ჩემი სიმღერის ფერად ირისებს.
და ფიქრი –
აზრის პერგამენტებით,
სიყვარულის წმინდა ძაფით დავაგვირისტე“.

„ვაჟა ეგრისელი ის მგოსანია, რომლის შესახებ ამბობენ: ნამდვილი პატრიოტების ალალმართლური გრძნობების სიმები მომაჯადოებლად ააჟღერაო თანამემამულეების გულში...

ვაჟა ეგრისელის მრავალფეროვანი შემოქმედება მეოცე საუკუნის ნათელი, ფერგაუხუნებელი, სხივცისკროვანი ფურცელია. დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ორმოცდაათი წლის ჭარმაგმა პოეტმა თავისი ლირიკული ქმნილებებით სამშობლოს „ხელთუქმნელი საგანძური გახსნა და შიგ ჩაწყობილი მარგალიტები გულში ჩაულაგა – შენი შენვე მიიღეო“.

სასიხარულოა აღვნიშნოთ ის, რომ ვაჟა ეგრისელმა ჩინებულად იცის ხალხის ადათ-ჩვეულებები, ადათ-წესები, ქართული ფოლკლორი, ქართულ ზეპირსიტყვიერებას პოეტი ხშირად იყენებს და წერს მომაჯადოებელ ლირიკულ ნაწარმოებებს. აი რამდენიმე საილუსტრაციო სტრიქონი:

*

„შენს ნაფეხურებს –
მწევარივით მისდევს ლეგენდა –
და გრძნეულ გზაზე იებივით –
ჰყვავის მითები...
მწამდა აქ იყავ...
მე ზღაპარში მაინც გეძებდი.
რამ მოგიყვანა, კოლხო!
პონტოს სანაპიროზე
თქმულებებით და ოქროს ვერძებით?!“

ეს ლექსი ეძღვნება ჭეშმარიტ რიტორსა და მესაძირკვლეს, გამოჩენილ პროფესორს, კრიტიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს ბატონ ოთარ ჭურღულიას. როცა ეს ლექსი წავიკითხე ჟიულ რენარის სიტყვები გამახსენდა „საჭირო სიტყვა – აი რა არის სტილი“. აქ, ამ ლექსში შინაგანი გულწრფელობა, აღსარება და სიმართლის ჰეროიზმია და პოეტის

ლექსის ფორმაც გააზრებულია და ინტელექტუალური.

პოეტის შინაგანი მისწრაფება ემთხვევა დროის სულიერ მოთხოვნილებებს:

ლექსში „ტყაშმაფა“ ადვილად აღვიქვამთ პოეტის ლაკონურ სტრიქონებში ჩაგვირისტებულ აზრს:

*

„ხან ბავშვურ ცდუნებებს ავყვები
და ზევსის არწივი მიტაცებს...
ხან ტყეთა სიმწვანით ვნაყრდები –
მე ოჩოპინტრე და ტყის კაცი.
ჰყვავიან მდინარის პირები...
მეძახის მკათათვის მკა-კაფვა
და მყვირალობისას ირმების, –
დავეძებ ტყის ქალწულს –
ტყაშმაფას.“

მოტანილი სტრიოქნები ღრმა და საგულისხმო გააზრებით ძლიერად არყევს მკითხველის სულს და მაინც ამ ლექსში სიცოცხლისაკენ დაუოკებელი სწრაფვა იგრძნობა.

ფოლკლორს მომხიბლავად იყენებდნენ დიდი მწერლები. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ვაჟა-ფშაველას მოსაზრება: „უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი

მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა. ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება. ამის მაგალითი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია. ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული. ავტორები „ფაუსტს“ გიოტეს გარდა ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გიოტეს გარდა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერავინ შეძლო, რადგანაც საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთან ვერ შეძლო გადადუღება ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრად გარდაქმნა!“

პოეზიის ჭეშმარიტი სიმდიდრეა პოეტის შემდეგი სტრიქონები:

*

„თქმულებების...
ლეგენდების...
და ამბების საზღაპრონის
სიზმარ-ცხადში გადმოსვლის –
ვოესავ ლექსებს,
ვით დრაკონის
კბილებს გმირი კადმოსი“.

და პოეტიც ისწრაფვის, ოცნების ერთგულებით გადმოგვცეს ჭეშმარიტი აზრი და კეთილშობილება.

ვაჟა ეგრისელი ფოლკლორულ მოტივებზე დაწერილ ლექსებში გვაზიარებს პოეტურ ფერებს. იმას, რაც ლამაზია და ადამიანური ცხოვრებაში. ცხოვრების ღრმა ჭეშმარიტება და სისწორე ჩანს ლექსის ყველა სტრიქონში.

*

„ჩემო,
წამ და უწუმ გიწვევ,
ჩემდა ცეცხლად
და სახმილად,
რასაც ოქროდ მოსავს ენა: –
უხილავის –
მოსახილვად,
უსმენელის –
მოსასმენად“.

პოეტი ცხოვრებას უცქერის დაკვირვებული, გამჭრიახი თვალით, ყურადღებით სწავლობს. მას ბევრი რამ უნახავს, ბევრი რამ შეუმჩნევია და მაინც მისი სული შორეულ ლეგენდებსა და თქმულებებშია დავანებული:

*

„ღამის მიღმა
                  და მზის იქით,
მძინარ ზღაპრებს რომ აუვლი,
                  ფიქრის ცეცხლად დაინთები,
მიტომ ქართლში გააღვიძე,
კოლხური და რომაული
                  ლეგენდები და მითები.“

ეგრისელის პოეზიის სამყაროში თქმულებებისა და ლეგენდების ლირიკული პერსონაჟები დააბიჯებენ. ავტორმა იცის ჩვენი ხალხის ადათები, წესები, ჩვეულებები და არის რაღაც იდუმალი კავშირი პოეტსა და ლეგენდებს შორის. ეს იდუმალება კოლხეთის ლირიკული კოლორიტიდან მომდინარეობს:

*

„მას დაუხოცეს სხვებმა შვილები...
                  შენ კი...
                  ო, შენმა...
                  დუღს ჯოჯოხეთი...
ელადიდან თუ წარსულიდან გადმოხვეწილი.
ღრუბელი არა,
                  მედეაა,
                  ჩემო კოლხეთო,
თავს რომ დაგვტირის თმაგაწეწილი“.
ან:

*

„ცა – მოჭედილი ვარსკვლავებით –
ჩემი ფარია,
ელვა-მახვილი,
და მიხარია სივრცეს რომ ძრავს ჩემი
სახელი –
აქილევსი!
და გაგონება ტანში მაჟრჟოლებს
„ბატას“, „ლილესი“.
რადგან ლაზი ვარ თუ პელაზგი,
ეს სულერთია
კოლხ-იბერთა ვარ ნაშიერი“.
(„აქილევსი“)

თანამემამულეების სულისა და გულის ამამაღლებელია სხვა ლირიკული ნაწარმოებებიც, რომლებიც პოეტმა ფოლკლორულ მოტივებზე დაწერა:

*

„ლეგენდებიდან მონაბერი ართობს ნიავი
და ღამის წყვდიადს
აღარ იკარებს,
ათასწლეულთა მიღმა მოჩანს მისი საწყისი.
განფენილია შავი ზღვის კარად –
ჩემი კოლხეთი –
ოქროს საწმისი“.

ან:

*

„ეს ზღვა კი არა
მედეას ოხვრაა,
ვითარც სხვა, შვილმკვდარი დედები,
მასაც აქვს უფლება ოხრავდეს,
მან გადასცურა შორეული ზღვა –
ლეგენდების
და მოაღწია ელადიდან –
კოლხამდე“.

აქ აუცილებლად მიგვაჩნია გავიხსენოთ ისევ ვა-ჟა-ფშაველას დამაფიქრებელი ნათქვამი: „პუშკინი ეუბნებოდა ერთს გამოჩენილს საერთო ნაწარმოებთა მკრებელს, როცა იგი მივიდა მასთან. იცით მე თქვენს ლექსებს ვიპარავო, ჩვენებმა რომ ეს გაიგონ, დაიძახებენ: ბიჭოს! ქურდი ყოფილაო, ხალხისათვის უპარნია ლექსებიო!“

აწ განსვენებული, პროფესორი ჯოდორ დადიანი ბრძანებდა: ვინც არ იცნობს რუსეთის საერთო ლი-ტერატურას, დამეთანხმებით, რომ დიდი ზემოქმედე-ბა ჰქონდა პუშკინის შემოქმედებას. იმან შეისის-ხლხორცა ერის სულიერი სალარო და ამაშია მისი

დიდებულება. ამას ნულად კი არა უდიდეს ღირსებად უთვლიან ჭკვათამყოფელნი.

„თქვენს უმორჩილეს მონაზე – ვაჟა-ფშაველაზედაც უნდა მოგახსენოთ, დიდი ზემოქმედება აქვს ხალხურ თქმულებათა უმეტესი პოემები ხალხშია გამოგონილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული“.

ვაჟა ეგრისელის ზემოთმოტანილი ლექსები თანამემამულეებს მრავალგზის გაგონილს ან წაკითხულს ახლებურად აღაქმნევინებს, მგოსნის კეთილშობილური მიზანია თანამემამულეების სულის, ჭკუის, გონების გაძლიერება, გაფაქიზება. ამგვარად ფრიად დიდია მგოსნის ღვაწლი, რომლის დიადი წყაროა ის, რომ მამაზეციერს მისთვის მოუმადლებია ღვთიური ნიჭი.

რაბინდრანთ თაგორი ამბობდა: „ამქვეყნად ყოველი, საგანი ხაზებისა და ფერების მუნჯი მინიშნებით აცხადებს, რომ ის ლოგიკური აბსტრაქცია სასარგებლო საგანი კი არ არის, არამედ ერთადერთი თავის სახეობაში და რომ თავის თავში გამოხატავს თავისივე არსებობის სასწაულსო“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია მისი, როგორც პოეტის არსებობის სასწაულია. სულიერი სიმდიდრე, სულიერი ღირებულებებია პოეტის თაყვანისცემის საგანი და ის ნათელი, რაც მის პოეზიაშია გასხივოსნებული ჯილდოდ და გვირგვინად ადგას დღეს.

უსათუოდ სწორია პროფესორი გივი გვენეტაძე როცა წერს: „მართალია, ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას არ აკლია გმირული შემართების პათოსი და უშრეტი ოპტიმიზმი, უკეთესი მერმისის უდრეკი რწმენა და ადამიანისადმი უანგარო სიყვარული, მაგრამ პოეტისათვის უცხო როდია დანგრეული ციხესიმაგრისა და ძლევამოსილ წინაპართა ნაკვალევის ხილვით გამოწვეული სევდა, წარსულში დარჩენილი ბავშვობისა და სიყმაწვილის ნოსტალგია, თუ დარდსა და ფიქრში გახვეული დღევანდელობით გამოწვეული მელანქოლია. ამის გარეშე არ არსებობს მაღალი პოეზია, რომელიც ყოველთვის იყო კრიტიკული აზრისა და გრძნობის შერწყმის ნიმუში.

უნდა ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელი სულ რამდენიმე სტრიქონში გვაგრძნობინებს ცხოვრების აზრს, მის პოეზიაში – მიწიერში ზეციურს, რეალურში ფანტასტიკურს ვხედავთ. სიდიადეში კი საყოველთაოს. პოეტი თითქოს ცის და მიწის, მზის და მთვარის მეტაფორულ სახეებში გვაგრძნობინებს ინდივიდუალურ თვისებებს და ამიტომაც ჭეშმარიტად საოცრება და სასწაულია ვაჟა ეგრისელის პოეზია; მისთვის პოეზია იწყება იქ, სადაც ეგზალტაცია მთავრდება.

დიახ, ვაჟა ეგრისელს ეკუთვნის სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ტიტანური ნებისყოფის, უაღრესად მიზანდასახულ პიროვნებას შეუძლია თქვას:

*

„ქართველმა კაცმა უნდა ილოცოს
                  და ილორში ღამე ათიოს,
რომ ღმერთმა იქნებ
                  ძმათა სისხლი,
ძმათა ცოდვა კვლავ აპატიოს“.

ან:

*

„ურჯუკებმა და ურჯულოებმა –
შთამომავლებმა შაჰის თუ საქოს.
ქართველთ წაართვეს ფუძე და ნერჩი,
ახლა დედები სისხლსაც ღვრიან
                  „ვახტანგის ნაქონს“,
რადგანაც ბედკრულთ,
                  რომ იტირონ ცრემლი არ შერჩათ“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის მარადიული წყარო – სასწაული და ფანტაზიაა...

პოეტის მიზანი, პოზიცია გამოკვეთილია: ზნეჩვეულებების მიხედვით ქრონიკა, ფოლკლორული ორნამენტები, გრძნობათა ფაქიზი გადმოცემა აირეკლა ლექსებში: „თქმულებებით და ტყით დაბურული“, „კარს ვუღებ სამ ათასწლეულს“, „უსახელო უფლისციხელი“, „ტყაშმაფა“ და სხვა. ერთობ ძნელია ყვე-

ლა ლექსის ჩამოთვლა და ერთი თარგის ქვეშ მოქცევა. თითოეული მათგანი ესაა სამყარო მინიატურაში, სადაც მთელი ცხოვრებაა წარმოდგენილი. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სიტყვათა პოეზია ვაჟა ეგრისელის მიზანი კი არ არის, არამედ სულის თვისებაა.

თქმულებებისა და ლეგენდების ალერსში გაბმულ პოეტს აღმოხდება:

*

„მეწვევა და...
კოჭებამდე
წყვილ-წყვილ ნაწნავებს
გაშლის
და ალერსში სულს ძლივს ვღაფავ...
ღამე,
მეგრულ თქმულებაში –
გამიტყუა ტყეში მაფამ“.

მართლაც სასწაულია ის გულთამხილაობა, რომლითაც პოეტი ვაჟა ეგრისელი სწვდება და გვიხატავს მიუწვდომელსა და ფიქრით მოუხელთებელ სამყაროს, მხოლოდ მას ძალუძს მთელი არსებით იგრძნოს ის მარადიული სილამაზე, რომელიც ასე სანუკვარი და ძვირფასია ჭეშმარიტი პატრიოტისა და მოქალაქისათვის:

*

„დიდი,

უკვდავი წინაპრის,
ბეგთარი აცვიათ გმირული.
ცისკენ რომ იწევენ –
ეს ჩვენი ხმებია.
და ჩვენი სულები –
მამულს შეწირულნი.
მიწაში კი არა, ცაში შეხვდებიან“.

და მაინც პოეტი ხალხის ბედ-იღბალზე დაფიქრებული კაცია, მისი ერთი მეციხოვნე, რომლის სულიც იდუმალი ძაფით არის გადაბმული აიეტის კოლხეთს და რომელიც ამაყად დგას დიდი წარსულის, დიდი რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას ოცნების ჩრდილში.

ციხე-ტაძართა საგალობელი

ვაჟა ეგრისელმა მხატვრული სიტყვით, სახალხო იდეალების მატარებელი, ზნეობრივად ფაქიზი და შეუდარებელი ლირიკული პერსონაჟები გამოკვეთა. პოეტური სიტყვით ძერწავს იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში მოღვაწეთა ხასიათებს, რომელთაც ძალუძთ

სინამდვილის გარღვევა და ადრინდელი ცხოვრებიდან მომავალში გადახედვა.

ეგრისელი ბრწყინვალე ფერწერული სურათების ოსტატია. დახვეწილი მეტაფორების და შედარებების ხელოვანი:

*

„მზერა მარადჟამს მაღლა გაურბის,
თავშესაფარი ცაში ეგულ-
ვის,
სადაც მნათობთა ყრია ქვირითი.
მოვა პოეტი,
ნიჭის რაშზე ამხედრებული
და... ათასწლეულს გადიჯირითებს“

მოულოდნელი ინფორმაციაა ვაჟა ეგრისელის მიერ შექმნილი ხატი, რომელიც ტროპული ცნობიერების უაღრესად საინტერესო სურათს ქმნის:

*

„ფრთას გაკრავს ღამის სიშავეს,
სიცოცხლესა და
დილის მადლს –
მოჰფენს ქოხსა და სასახლეს,
როდესაც ბაღში განთიადს,
შაშვი რომ გაიჭახჭახებს“.

ამგვარი პოეტური ხატები ჩვენს ცნობიერებაში შემოდის როგორც ახალი, თვითმყოფადი, ხელშესახები ფერწერული სურათები... სტილი მთელი სულია, და ძალზე ფრთხილი, თავაზიანი და მგრძნობიარე უნდა იყო, ვაჟა ეგრისელივით ილაპარაკო წინაპრებზე, ღირებულ ქმნილებებზე...

პოეტის ლექსები სიმშვიდით, სინატიფითა და რომანტიკული თრთოლვით აღბეჭდილი პოეტური პეიზაჟებია, რომელთა მიმართ შეუძლებელია იყო გულგრილი. პოეტისეული ლექსთწყობა, გამორჩეული ფორმა გაიძულებს მიჰყვე მის ინტონაციას და დაემორჩილო, მოემზადო და ერთხელ წაკითხული კიდევ გაიმეორო.

დგას პოეტი ჩვენი დიდების უხსოვარდროინდელ ციხე-ტაძრებთან და ფიქრობს:

*

„ეს მერამდენედ,
დავიწყების კართან დაცემულ –
მახვილაპყრობილ ციხის მცველთა
და მესანგრეთა –
გადაიქროლა სევდის ღრუბელმა.
და მე მუხლს ვიყრი –
ყველა ქართულ
ციხის ნანგრევთან,
ლოდს გულში ვიკრავ და

სულს ვუბერავ“.

ეს ლექსი მხატვრულ სახეს სრულყოფილად ქმნის და სათქმელს ცხადად გამოხატავს, პოეტის ყურადღება შორეულ სამყაროს, წარსულის ხელთუქმნელ ძეგლს შეენივთა. აქ პოეზიის სითბოა, ჰაეროვნება, სიწმინდე და ირგვლივ ყველაფერი შემოქმედის ემოციით იმსჭვალება.

ციალა მესხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში

***

ახურავთ ყინვის მუზარადები
ქედებს,
რომლებმაც დრო და ჟამთან
ბევრი იომეს,
ბევრჯერ დამტკბარან ვარსკვლავების
ცივი ამბორით.
დედამიწას კი კავკასიონი,
ჩიბუხივით უჭირავს
ხელში და...
მიაბოლებს...

1984

***

არმაზის მთებთან,
ვით სერაფიტა,
თეთრითმოსილი მხვდება აპრილი
და მიცხადდება სიზმრად ნანახი.
გაღმით არაგვი ცოფსა ყრის
და გველეშაპივით,
შთანთქმას უპირებს მცხეთის სანახებს.

1961

***

გათენებული ლოცვებით –
ბრწყინავენ ვარსკვლავთა
თაღები.
მთვარე ჭას მოჰგავს ამოთხრილს
და გაზაფხულის ბაღებთან,
ვიღაცა მისტირის
დაკარგულ სამოთხეს.

1972

ხეთასთან

გზები უხმობდნენ ათასწლეული,
            დაობლდა ფიქრი –
უსასრულო გზებზე ხეტებით.
დააკვდა მზერა მირიადი მთების
უნაგირს.
ბოლოს ხეთასთან – "თაქვორექი!"
            ესმა ხეთების,
მაგრამ ჰე,
კოლხო!
            ვერ იპოვა მისი ბუნაგი.

1961

***

ზღვა ხმელეთს ზვირთთა მუშტებს
უღერებს
და უღმერთობას სივრცეს
შეკივის.
გამობერვიათ გემებს აფრის –
თეთრი ჩიჩახვი.
ბებერ მყინვარწვერს,
ვარსკვლავებით წელგადრეკილი,
მხრებით უჭირავს ულურჯესი
ქართველის ცის თაღი.

2002

***

შავ-თეთრ არაგვის საყართან –
ფიქრი გაკრთება წამისად:
იელვებს მუცალის ლანდი,
ჯაჭვი აცვია რვალისა.
და “ნატყვიარში” კვლავ იფენს
– ლეგა საფევებს მრძამისა...
ბრძოლის ამბავს კი ალუდა,
მწუხრად უამბობს უშიშას.
შავ-თეთრად ორი არაგვი,
გლოვობს ორ ვაჟკაცს
უშიშარს.

1959

***

კლდეებს მომწყდარი ზვავები,
ჩანჩქერებს კვლავ ახელებენ.
მთები კი დგანან უვიცად.
თუმცა უჭირავთ ხელებით,
ქუხილით გაბზარული ცა.

1959

***

ჭმუნვით ელოდათ ცა მშობლიური,
რადგან “სხვამ” ვეღარ გადაიბირათ,
და ბრუნდებოდა გუნდი მერცხალთა.
ვიღაც მედეას ხმობდა ზღვისპირას,
წუხილს,
                    წარსულის ცრემლში
                    რეცხავდა.

1992

***

კვლავ გადაჰკრა ელვამ სახრე,
რადგან ღამე ხარს ჰგავს
ოჩანს, –
ზლაზვნით მავალს და
არაქათგაცლილს.
ღრუბლების ჩვრით გადაწმენდილ
ცის დაფაზე,
გალეული მთვარე მოჩანს,
ვით ნატეხი ცარცის.

1961

***

ვინ იცის, როდის,
ბნელს მომწყდარმა მეტეორებმა,
გადაუფრინეს სინათლის გრძელ
ათასწლეულებს
და სივრცეები კვლავ გადათელეს –
შორით მიმავალ ღამის უღრანთა.
ქეიბურების ფრთათა რხევით
დათვრა ეთერი.
და ცას თვალები –
ვარსკვლავებით ამოუღამა.

1980

***

როცა ფეხის ხმა მესმა მნათობის,
მე დედამიწის ბრუნვა ვიგრძენი.
და თეთრპერანგა ნისლით
მოსილი –
სადღაც ყივილი კისერს იგრძელებს
და გათენებას ბღავის ბოსელი.

1977

***

ქარიშხლის ხელით გადაფურცლული,
ლურჯი ტალღები –
წიგნებია ისტორიების,
მეხის ხმაზე რომ დაფეთდებიან.
და პონტოს ზღვაში მოფარფატე
ის – თოლიები,
კოლხთა აფრების –
უძველესი ნაფლეთებია.

1984

***

ჟამს მიმწუხრისას სამოთხიდან –
ისმის ტირილი და
ისმის სიცილი
და სიყვარული ყოფილი და
არ ყოფილი –
ხსოვნის მდინარეს კვლავ ჩაცქერის
ნარცისივით
და მაცთურია ცნობადის ხის –
ნაყოფივით.

1987

ალავერდის ტაძარი

შორს ჩანს მყინვარწვერის ანძა
და ქედები კავკასიონს
სივრცის ზღვაში მცურავ
ხომალდს –
თოვლის უქრობ შუქს უნთებენ...
ამკობს ალავერდის ტაძარს –
ცოცხალ მტრედთა –
ჩუქურთმები.

1996

***

ელვის ნახევით თავწაკრულები,
ქარს მიაქვს ღრუბლების
ფუთები,
მთებს მიღმა ზლაზვნით და ტაატით,
სიშორეს რეკს მთვარის საათი.
ცის ციფერბლატზე კი
უთვლელი –
ყრია ვარსკვლავები წუთებად.

1964

***

თეთრი ქარები,
                  შავი ღრუბლების
აისბერგებს კვლავ მიაგორებენ
და იძირება ღამის ზღვაში –
                  მთვარის კუნძული.
თუმც ვარსკვლავები ტივტივებენ
შიშველ-რგოლებად.
გრიგალი ბურჯღნის
                  უსპეტაკეს ზღვათა ძუძუებს.

1978

***

ძველ კოლხებს და დიაოხებს,
სანთლებს უნთებს ცა –
ოდიშის.
და შავი ზღვა ვარსკვლავებით
მოციმციმე,
წუხს მედეას მოლოდინში
და აჟღერებს ჩონგურივით
ზვირთთა სიმებს.

1981

***

კბილი მომკვეთა აკრძალული
ხილის ნაყოფმა,
და შენი ყოფნა ბავშვს ჰგავს
ნარბენალს,
რომელსაც სურს რომ გამჩენს
აგინოს.
ძეო ადამის!
ვინც სამოთხე დაგაკარგინა,
კვლავ მოსისინებს,
რომ სიცოცხლე დაგაკარგინოს.

2000

***

ცა არის მდინარე – ლეთა,
მთვარე –
ნავია ქარონის,
რომელსაც იმ არყოფნაში,
უგზო და უსახლკარონი
გადაჰყავს –
მკვდართა სულები.

1997

***

ამაღლდები! –
            აღწევს ელვად,
მამა-უფლის ხმა,
                ძახილი.
რწმენის მირონს ცა აპკურებს.
ზვირთთა დალალ ჩამოშლილი,
თავდახრილი,
ზღვა –
            ქრისტეა,
დედამიწის ჯვარს გაკრული.

1962

***

წყვდიადში ჩავა მზე ბერძენთა
                  და რომაელთა.
სიმამაცე და სიბრძნე კოლხური –
ცას მხრებს შეუდგამს
                  კარიადიტებად.
და გავა ჟამი...
და სინათლე ბნელს მოიხურავს,
გახედავს მუხას უსაწმისოს
                  და ატირდება.

1959

***

არა სპარსული,
არც რომაული,
მწუხრისფრად ჰყვავის ხურმა ინდური,
წინაპრის ძვლებზე აქ დათესილი.
სუნთქვა შეუკრავს და გარინდულა,
ვინ იცის ახლა,
რაზე ფიქრობს პონტო ევქსინის.

1961

***

დედამიწაზე ფიქრმა მთვარე
გააჭაღარა,
და მეც მთვარესთან ვარ წილნაყარი.
მიდის და მიდის...
და ჭრიალებს დღეთა კარები.
მზეს მხრებზე აწევს მთელი სამყარო,
მაგრამ მის სახეს ჭმუნვა,
წამით არ ეკარება.

1984

***

როცა მისცემს მეხი ნიშანს,

ელვა,

ღრუბლებს ყურებს აჭრის.

ცად დგას მთვარე, ვით ებგური.

ხელს უბორკავს ქაფის

ჯაჭვი,

ზღვას –

ქარებით პირშებურვილს.

1999

***

დღე და ღამე კი,
ვით ყევარი ჩელა და ბუსკა,
რომლებმაც მარად სატანჯველში
შებმა ისურვეს
და არ აშინებთ წვიმა და ქარი.
ვეება ბორბლებს აბრუნებენ
მზისა და მთვარის
და ეწევიან ოქრო-ვერცხლით სავსე
ცის ურმებს.

1967

***

ეფემერების არყოფნიდან ჩამოთოვლილი,
ჟამთა მდინარე ჩუმად
ჩაივლის.
და ცას რომ ადგას მზე დიადემად,
ღვიძლს დაუკორტნის
ყორნის ჩხავილი,
და ჩემი ღამეც განთიადდება.

2001

***

ოქროს კრამიტით ნაწერ სახლებზე,
ძახილის ნიშნად –
        თავი ჩანს ბუხრის...
რაყიფს გადაბმულ ძუკნას,
        აშინებს ბღვერა ზაქის.
და ჩემი სოფლის მწუხრი,
მიყვება ჯეკეს შუკას,
        მარწკინიების ჭრაქით.

1957

ცა – ავგეას თავლებია

შავი ღრუბლების ისმის ბღავილი,
ზეცა –
ავგეას არის თავლები
და, ვით ჰერაკლე, რეცხავს მარტი –
ჭკვაზე შეშლილი.
ზამთრის ნარჩენი თოვლი
ბუჩქებთან –
გდია ლეშივით,
და ყვავ-ყორნები უთვალთვალებენ.

1959

***

ცეცხლის ნისკარტა და ფრთებგაშლილი
მზე
რომ თავზე დასტრიალებს
                    თითქოს ორბია
და ზღვა კრუხივით ქოთქოთებს.
ტალღები კოლხეთისაკენ, –
სიხარულით ისე მორბიან,
თითქოს,
მედეას დაბრუნების
          ამბავი მოჰქონდეთ.

1961

***

ცისქვეშ ლოცვად დგას კავკასიონი,
თუმცა ნისლები ფრთებით
ფარავენ.
არც მიჯაჭვული პრომეთე ჩანს
და არც ესქილე.
თეთრნაბდიანი ღამე მწყემსივით,
მნათობთა რემას
დასავლეთით მიაქარავნებს.

1977

ღამის პეიზაჟი

აღმოსავლეთით –
                  განთიადისას,
მთვარე მთის თხემზე ამოსული
და აწვერილი.
ღამის მდინარე ცურდამშრალი
                  და დაწრეტილი.
ცა –
ვარსკვლავების ოქროს
                  ასოებით – დაწერილი...
და წეროების მრავალწერტილი.

1962

***

ღმერთთან მებრძოლი ანტეოსივით,
უძლევი შვილი იყავ
                    გეასი.
და უკვდავება შენ შეიფერე,
რადგან უფრთოებს –
          ფრთები შეასხი,
მკვდარი ოცნების ცისფერ ქიმერებს.

1972

***

ღვთის შესაწირავ ბატკანივით,
მთვარეს უწყინარს,
თეთრი ღრუბლები თავს ევლებიან.
თვალებში ცას რომ უბრწყინავს
ვარსკვლავები –
ანგელოზების ცრემლებია,
შენი "ფსალმუნებივით"
სპეტაკი.

1970

***

ამოფრენილი სიჩუმის ქვაბიდან
ფრთაშავი გრიგალი,
ზღვას რისხვად ატყდება.
ნაპირთან წკმუტუნებენ ტალღების –
პუდელები.
ცა სავსე არის ვარსკვლავთა ბუდეებით,
პირს ფართოდ აღებენ –
სინათლის ბარტყები.

1963

ჭავლი – ნარცისი

აღარ ისვენებს, აღარ იძინებს,
შეყვარებული თავისთავზე ისევ ისეა.
ხმობს – ცა ნაკერი ვარსკვლავების
ოქროს ნემსებით,
და ნაკადულს რომ დასტრიალებს
და დაციმციმებს,
ჭავლი კი არა,
ის ნარცისია,
გრძნობამორევით –
ის თავისთავს ეალერსება.

1962

***

რადგან ღელვათა ცეცხლი მოსტაცე,
დღისით და ღამით
ჩემსკენ იძვრიან,
ზვირთთა ყორნები მოფრენენ რიგად.
და სიყვარულით სავსე გულს
მიძიძგნიან,
უღვთოდ მიჯაჭვულს ზღვასა და
გრიგალს.

1998

იორი

გაზაფხულივით ადიდებულა
და ვერ ეტევა კანში იორი,
ყვარლის მთები კი გვეგება
                  რა დიდებულად.
არ ჩანს ღრუბელი ერთი ფიორი,
ცა –
ვარსკვლავებით შედედებულა.

1967

***

უკვე მესამედ ყივის მამალი
და ვჭვრეტ:
ქცეული პეტრე,
                პავლეთი,
ქრისტეს ფეხებთან დავარდნილი,
ვითარ ლოცულობს.
და მიაქვს ღამეს აღმოსავლეთით –
ვარსკვლავთა შუბზე –
                ცა წამოცმული.

1981

***

ზღვა –
მიწის ხელით მოწვდილი,
ვით აზარფეშა –
ცამ დალია.
მთიები – ღამის ეკლებია.
ღრუბელი –
ევას დალალია,
ქუხილი –
ადამის ნეკნებია.

1958

***

მიწა მზერას ვერ უსწორებს,
და მზე –
                  თვალი არის შიშის.
და ცხელი უდაბნოები –
კვლავ ცრიან მარადისობას –
ურიცხვ საათებით ქვიშის.

1969

***

სიჩუმეში მდგარ ენძელებს –
კვლავ შეაკრთობს ნისლის ფთილა.
და გამთენიის ნათელი –
ბაღებს ვარდისფრად შებინდავს,
მერე,
ვით არწივს მთებიდან,
მზეს კვლავ წამოაფრენს დილა.

1984

***

გაჩენიდან ვარ სიკვდილმისჯილი,
რადგან სამყარო ბოლოს
ერთდება –
ცისა და მიწის ხელით ნაგები.
და ვარსკვლავები –
გარდაცვლილი არის ღმერთების –
აკლდამები და
სარკოფაგები.

1960

***

პოეზიის ცის კიდეზე,
        არ ჩანს ლორკა,
        არც თაგორი.
სულ სხვა ისმის მელოდია.
და ღამე რომ მიაგორებს
მთვარე –
        სიზიფეს ლოდია.

1967

***

ყურცქვიტა ნაკადულები,
აი, ამ დილით ნაშობნი,
ჩამოსვლას აპრილს ასწრებენ.
მთებს ბილიკების ბაწრებზე –
გადუფენიათ ნისლები
და ზეწრებივით აშრობენ.

1960

***

სადღაც ვედრება მესმის შუმერთა
და წარმართთა ლოცვებს
ვასრულებ,
ჩემი ღმერთი კვლავ იშხარია.
ზღვა –
არის ჩემი დიდი წარსული,
მომავალი –
ქარიშხალია.

2004

***

გულმილეულნი
        მზის მოლოდინში,
ფურისულა და სხვა
                ყვავილი,
გრძნობენ შერხევას ვარსკვლავთ
                წამწამთა.
ცამ გათენება გულში გაივლო
და აპრილივით ღამე ამწვანდა.

1999

***

მირიად სანთლით განათებული,
ისევ ჩახჩახებს
ზეცის დარბაზი.
ხოლო ზღვაზე კი,
ტანთ აცვიათ მნათთა რვალები
და ნაპირისკენ დიან ბარბაცით
ტალღები –
ქარით გადამთვრალები.

1978

***

მწუხრის ვარსკვლავი ცის თეთრ
კოშკიდან,
ვითარც თამარი, კვლავ იხედება.
                  დიან ღრუბლები...
და წუხილი აღარ ილევა.
                  თავჩაჩქიანი ჩანან
                  ქედები
და მთების თეთრად აყვავილება.

1964

შოუ ნანა

აკადემიკოს ტიტე მოსიას

ბნელ წარსულიდან გამოქცეული,
საუკუნეებს მისდევ
მზის გეშით.
მოკვდავთ,
უკვდავი ძეგლი აუგე.
მზისა და მთვარის ყდიან წიგნებში,
ჟამთა მდინარე შეაყენე
და შეაგუბე.

2002

***

ღელვა წამით შეაკრთობს,
ზღვაზე მთვარის ორგიას,
ღრუბლის ხელს მოიჩრდილავს,
დასავლეთით არე ცის.
დაოთხილი ტალღები ნაპირისკენ
მორბიან,
თითქოს და სურთ მადევარ,
ქარიშხალებს გაექცნენ.

1986

***

კოლხეთს კი არა,
        გადასწვდა სამყაროს,
მაშინ ფასკუნჯივით ფრთები რომ
გაშალა –
        ქვეყანამ აიეტის და ქუჯის.
შავი ზღვა, განა შავი იყო,
                ის იყო ლურჯი,
მაგრამ მედეაზე დარდმა გააშავა...

1958

***

ელვა ხანდისხან ყელს მოიღერებს
და წვიმის სუსტი ისმის
არია.
გამხდარი მთვარე –
ცის დარბაზში მოჰგავს
საჭურისს.
“იქმენ ნათელი!” –
წიგნი არა,
ამირანია,
კავკასიონის კლდეს მიჯაჭვული.

1993

***

კოლხეთის ცის ქვეშ მიწვა
სამი ათასწლეული,
პონტოს სიშავე რომ წვავს ძაძისა.
არსაიდან ჩანს მზითმოსილი ლანდი
ნიკესი.
როს გაიხსენებს,
ატკივდება გაუსაძლისად
და... ზღვა მედეას წამოიკვნესებს.

1960

***

ხის ტოტებზე შემორჩენილ –
ვასაკების მწვანე ყაყანს,
ელვა წვიმის ძაფით ნასკვავს.
და უძილო ცისკრის ვარსკვლავს,
ღამე ურწევს მთვარის აკვანს.

1964

***

გულგაბოლილი დარდით,
ბუხარი ურტყამს ნაფაზებს...
სადღაც,
            შორს ერთი ღრუბელი,
            ზეცას ატყვია ხალად.
და მთვარე ცის ცხელ ტაფაზე,
დაყრილ ვარსკვლავებს ხალავს.

1958

***

სხვამ იდარდოს...
შენ კი,
ჩემო!
ეჭვი ნუ გდრდნის:
რა გრჯიდაო!
კაცი არა, ხარ ტიტანი.
და შენ ლოდი აიტანე,
ქვაც ასწიე საჯილდაო.

2000

***

უფალს თვალებში შესცინინებენ,
თუმცა არ უდგათ სისხლი
გიქორის.
არ აბადიათ სათეს-სახნავი,
ობლად დარჩენილ –
ჩემ კოჭლ სტრიქონებს –
ჩემს პატარა –
მზეთუნახავებს.

2002

***

ათასწლეულებს მარადისობა,
ცის ლაფაროში
ღრუბლად პენტვიდა,
და მთვარე იდგა ღამის ჭიშკართან
და შიგ შესვლას კი
ვეღარ ბედავდა,
რადგან მზის ყეფის ხმა ისმოდა
სხვა პლანეტიდან.

1966

ვით დავითს და კონსტანტინეს

ძმებს – ვაგნერ და ელდარ მხეიძეებს

ვით ურჯულო არაბებმა,
ისე, ქრისტიანმა "ძმებმა",
ღვთისწილ-ხვედრი საქართველო,
აფსუებს და ოსს ატირეს.
ხედავთ მამულს მხარმოკვეთილს,
და თქვენ გიხმობთ ცა –
კოლხეთის,
ვით დავითს და კონსტანტინეს.

2001

მუხები

გაზაფხულს როცა დაინახავენ,
დაიგრგვინებენ,
დაიქუხებენ.
მუმლი კი მაინც აღარ ილევა.
აცვიათ მწვანე ახალუხები,
და შავ ჩოხებში ახლა მუხები,
რკოებს იწყობენ მწვანე ქილებად.

1960

***

მთების შავ წარბებს მაღლა აზიდავს,
მცხეთასთან მთვარე,
და არმაზიდან –
ქართლის სანახებს გადახედავს,
ვით პიტიახში.
შორით მოსული ღრუბლები კი –
ცამეტი ასურია,
მკრთომარე ელვა –
მათი სულია,
მარადისობას რომ დაეძებს
ჟამთა წყვდიადში.

1978

***

გამთენიისას მოვიდა წვიმა
და მნათთა ქვიშა დაასველა
                  და გადარეცხა
მერე მახათას –
ფიროსმანივით, თბილისის დილამ,
        ღამენათევი მზე მიახატა.

1962

***

ჩავა მზე და დასავლეთის
ბნელით ნაჭედ კარს
მოხურავს.
მთვარე ღამის თეთრ საყდარში,
დადგება, ვით მედავითნე.
მკერდს დაიკრეფს ცა –
კოლხური,
ვარსკვლავების ოქროს თითებს.

1963

***

გადმომდგარან და ზღვას დასცქერიან,
თუმც ორბის მზერა
                    დაობებიათ
მთებს და ნაპირზე რაც ტინებია.
მიწა დედაა,
          ტალღები კი მისი ობლებია,
მშობელს რაღაცაზე ეტიტინებიან.

1969

ძირულა

გადმომდგარან და შავი ლოდები,
ელოდებიან მოსვლას მერეთის.
მთათა ფერდობებს ფეხშიშველი
მისდევს ძირულა.
მთვარის აკვანში წევს იმერეთი
და ვარსკვლავებში –
ცა ჩაძირულა.

1964

***

პაწაწინა ბილიკებს,
ჩამონარბენთ მთებიდან,
ფეხისგული უხურდათ.
მერე, იქვე მუხურთან,
ხობის წყალთან,
სკურჩასთან,
წამით შეყოვნებულებს,
თეთრი მუხლი უჩანდათ.

1958

შემოდგომა ეგრისში

ფოთლების უზალთუნები ყრია მთებთან
და ბორცვებთან,
მოოქროვილა ბუნება
ძმეხლით, შქერით და მოცვებით.
და ელის ვაჟა ეგრისელს,
თრთოლვით,
რწყავი და მჟაველა,
ისე, ვით მთებში ელოდა
შვლის ნუკრი ვაჟა-ფშაველას.

1963

***

გადიხარხარებს და მერე ცაზე,
ვიღაცა ელვას გააბამს სიმად.
მზე და მთვარე კი, ვითარც ადრე
ერთად არიან.
და ღამის ტოტზე –
უშფოთველად სძინავთ,
ვარსკვლავები –
მათი სიზმარია.

1977

ისევ კოლხეთი

ზღვისკარად მოსულს წარღვნის იქიდან,
ვითარც დემონი დაჰკიოდა,
თავზე ავსული.
ევქსინის პონტო ზვირთთა ღერით,
თითქოს ულოა.
და ქარიშხალი –
ჩემი ქვეყნის არის წარსული,
უკოლხეთოდ კი საქართველო –
უწარსულოა.

1960

ჭექა-ქუხილი, წვიმა

რქებზე ელვის სანთლებიანს,
ერეკება ღრუბლის ხარებს
ქარი... და ჰგავს
ცა –
საკირეს.
ღმერთს კი რადა ახარხარებს.
ან ანგელოზს
რა ატირებს?!

1987

***

ჟამი ვერ ჰგუობს არსთა სიმრავლეს,
ათაბაგივით ქვეშ გამხედვარი.
ვჭვრეტ: როგორ ჰყვავის მთაში
სიცოცხლე
და სიკვდილს რომ აქვს ბლომად
საფქვავი...
გაზაფხული კი, როგორც მხედარი,
არაგვს ბარისკენ მიაქავქავებს...

1959

***

მწუხრი ეფერება მთებს და მწვერვალებს
და ისმის ძახილი:
სიმაღლე ფარავდეს
პოეტებს, – ოცნების მთამსვლელებს.
თუმცა ჩვენ ყოველდღე, –
სამარის კარამდე,
ჩვენს მცხედარს მივასვენებთ.

2004

მგოსნის სული

როგორ ყოფნით მზეს და მთვარეს
ცა სამოსახლოდ,
მზერა რომ ინაკლისებს
მის სიმცირეს.
ხმა არ ესმის არც მტრისა და
არც მოკეთის.
და მგოსანი ჭვრეტს თავის სულს
მოციმციმეს,
ვარსკვლავების ცხრაკლიტულში
გამოკეტილს.

2003

***

განა ყორნებს აკლდათ ლეში,
        მაგრამ ცხრა ძმამ,
        ცხრა დევ-გმირმა,
მომხდურთ გვამით კვლავ დადრიკა –
მარაბდაც და მარტყოფიცა –
ახლა ხსოვნის აკლდამებში
წვანან მშვიდად, დაღლილები
        და ახურავთ არყოფნის ცა.

1992

სისონა დარჩია

ნასაკირალს ძმის სატირლად,
ვხედავ,
        როგორ მიიჩქარის
        გმირი სისონა დარჩია.
ცრემლად მოწვიმს გზის სიშორე.
დუმს ჭურია...
წუხს ფიჩორი...
        ღამე არის კაკაჩია.

1962

***

სულ სხვა პლანეტებიდან –
ადრე გადმოსულია,
უფლის ნება სინათლედ,
ვით სიცოცხლის ებგური –
მიტომ დღესაც ებურვის
ოლიმპოს და სინას მთებს.

1999

ზღვები და ოკეანები

მთებს გულ-მკერდი გაზაფხულის
                ქვიმებმა,
დაუსერეს მდინარეთა დანებით.
დღეები კი ღამის სურვილს დანებდნენ,
ვარსკვლავებით ზეცა
მოკირწყლულია.
        და ეს ზღვები,
        და ეს ოკეანები –
მიწის ტანზე უკურნელი წყლულია.

1964

***

ჟამთა წარღვნას გადარჩენილ,
ნოეს კიდობანში
ვხედავ:
მოდელიანს, შაგინიანს –
შორეული მზის ძირებით.
მთელი ღამე შავგვიმიან –
მთვარის ჭაში ვიმზირები.

1959

60

სამოცი წლის მიწიერი სიცოცხლე,
პოეტისთვის მეტის,
მეტის, მეტია!
რადგან ყოფნა ცრემლად დასაწურია.
არ ეშვება პლანეტებზე
ხეტიალს,
მიწად არა!
სულს ცად ყოფნა სწყურია.

2001

***

უკურნებელი სენი შემყრია
სიბერისა და...
        უნდა მომხედო.
მოწმეა ჩემი ხორგაც,
        დარჩელიც,
რომ აღარ მიჩანს პირი
დარჩენის,
        ჩემო კოლხეთო!

2001

იძირება მთვარის ნავი

ღრუბლების თმებს ბღუჯ-ბღუჯა
ცა რომ იგლეჯს,
შეშლილია.
იძირება მთვარის ნავი.
        და მთებს იქით,
        ზღვა რომ ბღავის,
თავისთავის ეშინია.

1988

***

ცხრა მთის იქიდან გადმოხვეწილი,
მიფიცხებია ნაკვერჩხლების
ხმაურს სიცივე,
თითქოს მეგრულმა ოდამ იშვილა.
ბუხარი ალის თმებს ისწორებს
და კვამლს იცილებს,
რომელსაც გულში იკრავს
ხშირ-ხშირად.

1957

***

გამობერვიათ ქვევრებს მუცლები
და მარნის კარი ისევ
ჭრიალებს,
თამადად ისევ დგება კახეთი:
მაწვდის ალაზნის ველს,
ვით ფიალას,
თან გულში მიკრავს და ეჭვიანობს
და სხვა "კუთხისკენ"
აღარ მახედებს.

1986

***

გაჩახჩახებულ ღამის დარბაზში,
ვიღაც უკრავს მთვარის
                კითარას
(ფიქრს ვინ დაუშლის ცაში ხეტიალს).
როდესაც წავალ,
                რაც ვერ გითხარით,
წვრილ-წვრილად ჩემი ზღვები გეტყვიან.

1980

ვარსკვლავიანი ღამე

სადღაც ღამის ცივ კიდეზე –
შემომდგარი მთვარის თასი,
ისევ ისე ჩანს ნაკლული.
ამერიკის ვარსკვლავიან დროშის მსგავსი,
თითქოს ცაზე,
ტილო არის გადაკრული.

1996

***

დადგება ჟამი: მოიჭედავენ
ფლოქვებს –
მზეების ოქროს ნალებით,
ფრთებს მოისხამენ მერე ქორების,
ჩემი დღეების თეთრი რაშები –
ათასწლეულებს გადიქროლებენ
და ვარსკვლავებზე იპარპაშებენ.

2004

მარტი ზღვაზე

მოვიდა მარტი და ამინდი
არივ-დარია,
“ავე-მარია”,
კვლავ ნაცნობი ისმის მოტივი.
ქარი ყურესთან აფრას ეცა
და გაიბღინძა.
და ციცქნა ტალღა მიწის კალთას
წაეპოტინა,
ეს იმას ნიშნავს,
ზღვამ გაიღვიძა.

1998

***

ღვთის სულივით სპეტაკი და
ფრთა მსუბუქი,
მთის ბილიკზე მიფარფატებს
ნისლის ფთილა,
ხევ-ხუვები მისდევენ და ისმის ყეფა.
შორს ქალწული მიდის დილა,
ცის მინდორზე – ვარსკვლავების
ყვავილების მოსაკრეფად.

1969

მეგრული ფაცხა

ცოდვა და ბრალი ამქვეყნიური,
ვეცადე, მაგრამ ვეღარ ავსახე,
მიტომაა, რომ ჩემს აღმახნულს,
დრო დაბლა ფარცხავს.
და მაინც მჯერა,
ცად ატყორცნილ სხვათა სასახლეს,
სჯობია ჩემი მეგრული ფაცხა.

1962

***

სხვა არაფერი...
სამშობლოა შენი ბუნაგი,
შენ იქ ბინადრობ...
ეს უფალმა ასე ინება.
ბევრჯერ,
ბევრ მომხდურს
მტვერი ადინე.
რადგან ქართული პოეზიის შენ ხარ ნადირი.
და მიტომაა, რომ იღრინები.

2000

ქართული მიწა ბრძოლის ველია

სხვათა კი არა,
ძმათა სისხლით მეწყრად ქცეული,
ქართული მიწა –
ბრძოლის ველია,
საქართველოს გულს მწუხარება
გადალეკვია.
ცას რომ შეყმუის –
სიძულვილის შავი მგელია
და სიყვარულს რომ დაღავღავებს
შიშის ლეკვია.

2001

რედუტკალესთან

არ ჩანან ყურსალარები,
მარამ რედუტკალესთან,
თვალი კვლავ გრძნობს სისველეს.
        და კოლხური საღამო,
ელვის ცელებს ალესავს
და მთიებით მოჩითულს
        გადათიბავს ცის ველებს.

1962

მაღაროსკარს და კაწალხევს

ზამთარი დედაბერივით,
გადმოუბერტყავს ქარს კალთას,
მაღაროსკარს თუ კაწალხევს.
ბილიკი თოვლის ქათქათა –
სახელოს აიკარწახებს.

1962

***

სიბრძნის ლაგვინში დადუღდა
სიტყვა, და აზრმა იმაჭრა,
მით არ გიმტყუნა კალამმა,
ცა – ქუდად რომ არ მიგაჩნდა
და დედამიწა – ქალამნად.

1999

***

წუთისოფლის სივერაგეს,
ვხედავ, ბოლო აღარ უჩანს,
მან ისე, ვით ძაღლყურძენამ,
ან ალუჩის მწარე ბუშმა,
ჩემებრ კბილი ბევრსაც მოჭრა.

2003

დაბრუნება

დოინჯშემოყრილ დოქით სუფრაზე,
ყორნისფრთისფერი
გიდგას “ადესა” –
და საყვარელი ღვინით ბრუვდები.
მოხველ დამის გზით განთიადისას,
და მომწუხრისას
კვლავ შინ ბრუნდები.

2001

***

ვარსკვლავებით და მზით დახუნძლული –
ქართვლის ლურჯი ცის
ხილვა სწადია.
და ვერ იოკებს დაუმცხრალ სურვილს.
ათასხუთასი წელიწადია,
რომ მტკვარი თბილისს
ჟრუანტლად უვლის.

1966

მთვარის მუმია

გულზე ელვის ხელს რომ იკრეფს
და წუხს უამურ ამინდად
პირი რად მოუკუმია?!
– ამოაქვს ცას აკლდამიდან –
მთვარის გამხმარი მუმია.

1965

ნაბუ-ქალდე-ნეცარი

“მენგურელთა*” იმედი,
საესავი მონათა,
მორჭმული და მენცარი,
მეფე კოლხა-ქიმეთის –
ნაბუ-ქალდე-ნეცარი,
ნაბუქოდონოსორად,
ნეტავ, ვინღამ მონათლა?!

1992

* ენგურელი, მენგურელი ანუ მეგრელი, შემდგომ შუმერად “მონათლული”. XXX ჩვ. წ. აღ.

***

გადაწინწკლული სისხლით მთიების
        და დაფერილი ნისლის არილით,
        წელზე არტყია ზვირთთა ქამარი
ზღვას და წაჩოქილ ნიშა ხარივით,
        რუხ ნაპირს ლოკავს,
        როგორც ქვამარილს.

1990

ადრე არ იყო სამყარო დიდი

მოხუცი მამა მეტყოდა: შვილო! –
ადრე არ იყო სამყარო დიდი
და ერთი გვქონდა ენაც და
კილოც.
მერე,
ო, მერე ღმერთს შევცოდეთ!!!
ეჰეი, ჯიჯი,
მიტომაა, რომ სიცოცხლეს გვისჯის,
მაგრამ სიკვდილი დღე-ნიადაგ
ჩვენს დახსნას ცდილობს.

1971

ღამე ურთა-აბასთუმანში

მშვილდივით წინ წახრილა,
უდევს ხელი აღვირზე
და ცხენს მიაჯირითებს,
ყივის – ვარო უდრეკი.
ახალ მიძინებულ მთებს
აკრთობსა და აღვიძებს,
ვიღაც გადამთიელი, გირინი და
მუდრეგი.

1987

ისევ ანმარე

ჩვენი პრეისტორიის
სურდათ დასამარება
და ვერ დაასამარეს.
ხუთი ათასწლეულის გამოაღო კარები
და დაბრუნდა "ქიენგურს" *
დიდი მეფე ანმარე.

1990

* ჩვენს ქვეყანას "აია"-მდე, კოლხეთამდე, ქართლამდე, "ქიენგურს" ან მეგრელთა ქვეყანას უწოდებდნენ.

***

ვითარცა ცოდვის შვილმა,
არაფერი დააშავო
(მიწა ყველას შავად ეგო).
რადგან ისევ დავაჟაობ,
დადიხარ და დაშავლეგობ..

1996

***

ცის სიჩუმეში ელვამ როცა
გაიქილიკა,
        კლდის პირ მდგარ ალვას
        დაეცა მეხი.
და იქვე დამფრთხალი,
პატარა ბილიკი,
პატარა ფერდობზე –
        არბის კისრისტეხით.

1962

***

ჩემი კოლხეთის ვზივარ წარსულში
        და დღეთა ძელქვებს
                ვაშალაშინებ.
        ჟამთა სიშორე მე არ მაშინებს;
სანამ ცოცხლვარ,
        ჩემს ძველ კოლხეთს,
                ვერ მოვეშვები.

1962

ახაცა და აფირხაცა

მტრობისა და სიძულვილის –
შავი,
ორი დუღს ნაპირი...
ვითა ადრე,
არის ახლაც,
ტყვიასავით პირდაპირი,
ახაცა* და აფირხაცა*.

1992

---

* ახაცა – მტრის სამაგიეროს მიმზღველი (რაინდი).

* აფირხაცა – მტრის მტრულად დახვედრი, მაგრამ ამავე დროს მიმტევებელიც. გმირთაგმირი. აფხაზი

***

ვითარც პეგასი პოსეიდონის,
ქარიშხლის ნალით –
ფლოქვდაჭედილი.
არყოფნის ხატი სადღაც იალებს.
ცად გადმოდგება მთვარე –
კეთილი
და სვამს სივრცეებს –
თვალთ შენთა წყვილი ფიალით.

1989

აია, ადამ

ხან ბედნიერი,
ხან უბედური,
ჩონგურის ხმაზე ვტირი თუ ვმღერი
და კოლხურ მიწას ფეხს სადაც ვადგამ,
ყველგან ჩურჩულებს ბალახის ღერი:
ის არის "აია*"
და მე ვარ "ადამ**".

1964

---

*,** კოლხეთში (ისტორიულ საქართველოში) ქრისტეს შობამდე მესამე ათასწლეულში მეფობდა ადამ, რომლის მიხედვით დამკვიდრდა ცნება "ადამიანი". ასევე ცნობილია მეორე "აია". მოღვაწე იმავე ათასწლეულში, რომლის სახელი დიდხანს იყო კოლხეთის (საქართველოს) სახელმწიფო სახელწოდებად.

ბალი

ცას ცეცხლი წვდება კოლხურ ოდების,
მტრობის ათასი თვალი იალებს.
უფრო ძალუმად, ვიდრე ოდესმე...
და წარსულიდან ისევ მომესმის
ჩემი წინაპრის მოთქმა,
გოდება,
თითზე კბენა და კბილთა ღრჭიალი.

1994

ფერდობი

ცის ტოტზე რომ დაცოცავენ,
განა მართლა მღილებია!
მთიებია...
ხმაა ისნის.
და ფერდობი მკერდს შეიხსნის –
გვირილების ღილებიანს.

1962

სარჭი

სარს ორად გულგაპობილს –
        მინარეთის მახვილით,
ალაჰს კვლავ ავედრებენ
        ვაცისწვერა მოლები.
გულში ქართვლის სიყვარულს
        ცად მთიებად ახელენ,
        ჩემი ძველი ლაზები –
        მელენი,* და მოლენი.**

1998

---

* მელენი – გაღმელი. (ლაზ.)
** მოლენი – გამოღმელი (ლაზ.)

***

კოლხეთის ძველ ბინადართ
კოლხეთი კვლავ მოუხმობს,
რადგან არ აქვთ ალიბი
(ეყოთ რაც რომ ითმინეს):
ხალდებსა და ხალიბებს,
კლარჯებსა და შკვითინებს*.

1964

* ძველი კოლხური (ქართველური) ტომები.

***

იდუმალების სხივით მოსილი
და სიყვარულით გასანასკვავი,
შენი სახელი შვიდ მნათობთა
გვერდით სწერია,
რადგან ის გვიან ანთებული
არის ვარსკვლავი,
რომლის სინათლეს მიწად
ჯერ ვერ მოუღწევია.

2003

***

მწუხრი თითქოს და ცნობადის ხეა,
        რომელსაც ევამ,
        ადამის ხათრით,
ელვის ნათელზე აკრძალული
მოსწყვიტა ხილი.
და მერე ღამემ ცის ქურაში
        შეჰყარა მნათნი
და გადმოაგდო მზის დისკო დილით.

1964

***

ლოცვებს ამბობენ ანგელოზები
        და ქრისტეს ეკლის ადგამენ
        გვირგვინს.
იუდეველნი ხელისგულებზე
        აჭედენ ლურსმნებს.
        დუმს მაცხოვარი...
ო, ალბათ იგი,
        მამა-ღმერთის გულისთქმას უსმენს.

1964

***

არ ჩანს მეფე ირაკლი.
ფანჯრებსა და დარაბებს, –
ვხედავ დარდით შებურვილს.
გლოვობს სამას არაგველს,
ლოდი, მჯდარი მტკვრისპირას,
ხავსის წვერმოშვებული.

1966

ქიმეთი

ფიქრით,
        პრეისტორიის,
        კარიბჭესთან მივედი,
        სადაც ათასწლეულებს –
დღე მზის ზურგზე ართავდა,
        და ვნახე ის ქიმეთი,*
        "მენგურელი" ხელმწიფე –
        ანმარე** რომ მართავდა.

1996

---

* ქიმეთი – შემდგომში ეგვიპტის სახელწოდება. (XXX ჩვ. წ. აღ)

** ანმარე – "მენგურელთა" ან მეგრელთა შემდგომ შუმერად წოდებული სახელმწიფოს მეფე (XXX ჩვ. წ. აღ.)

***

სადღაც აღსავლით,
        შუქთა ციალით
        მიდის ჰელიოს.
მთვარის ფიალით –
        თითქოს ლურჯი ცა დაელიოს

2001

ქალდებსა და კარდუღელთ

ბევრი ათასწლეული
ვიცი, დამაგვიანდა,
მაგრამ პრეისტორიის –
გადარაზულ კარს ვუღებ,
და მოვუხმობ ნიადაგ:
ქალდებსა და კარდუღელთ.

1978

ისევ გამოცხადება

უცხო სინათლეში დამდგარს,
ფრთების რხევით ანგელოსმა,
რომ მწუხრისას მიაკითხა.
ცისკენ მზირალს ტანთ ემოსა
ძოწეული –
იაკინთად.

1988

ქალაქი კოლხა – 52 საუკუნე

ბევრმა ავისმდომმა მალა,
მაგრამ გასცა თავის ქალამ.
ყველამ უნდა იღოს ყურად:
მზე რომ იდგა კოლხა ქალაქს,
ახსოვს ბიბლიას და
ყურანს.

1964

იდუმალი საზღვარი

მკვდრეთით აღსდგა ლაზარე,
ისევ უხმობს ზარს – ზარი.
და ცა გადაშლილია –
ველი მულღაზანზარის.
ისევ ცვივა ფიქრს – ფიფქი...
იდუმალი საზღვარი –
მიიწევა მზის იქით.

1979

ყაყაჩო უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

ერთადერთი ეს ყაყაჩო –
ჯარისკაცის უქრობ ცეცხლთან,
ნაიარევ ხელს რომ ითბობს,
ალისფერი ყელსახვევით –
პიონერი არის თითქოს.

1973

***

სიმყუდროვეში ბილიკებად,
ჩამოუშლია მთას კავები
და ღამე აკრთობს ელვის
პწკლებიანს.
ქართვლის ცაზე მიმოყრილი
ვარსკვლავები,
ბარათაშვილის "მერნის" ნალის
ნაპერწკლებია.

1968

ლიხს აქეთ და ლიხს იქით

აქეთ ველი ფაზისის
        და იქით კი ალაზნის,
        სადაც წყარო-მითების
        ისევ მიდის ლიკლიკით.
არის მხარე ლამაზი –
        ლიხს აქეთ და ლიხს იქით.

1976

ნეფერტიტად წოდებულს

ნამდვილია...

ლეგენდიდან მიდის განა,

ნილოსი და იდიგანას*

ზვირთები რომ გოდებენ...

და უხმობენ კოლხს ხელმწიფე –

რატის ასულს,

მეფე თათუს –

ნეფერტიტად წოდებულს.

1999

---

* იდიგანა – შემდგომში მდინარე ტიგროსის ახელწოდება

***

ქარი ნაპირს თეთრ არშიებს
ავლებს და კბილებს ილესავს.
ზღვა –
დედა და აღვიძებს
ტალღებს –
თავის ღვიძლ ნაშიერთ
და იმის შვილიშვილებსაც.

1969

ბაბილონის გოდოლი

უფლის ცისკენ იწევდა
        რწმენა, ვითა ვენახი.
        ცახცახებდა სამყარო,
როგორ ალვის ფოთოლი...
        დიდ ხელმწიფე ანმარეს*
        სურდა ღმერთი ენახა
                – ბაბილონის
                გოდოლით.

2001

---

* ანმარე – "მენგურელთა" (მეგრელთა) და ქიმეთის (ეგვიპტის) ხელმწიფე (3185-3126 ჩვ. წ. აღ.)

ულმერთონი

ღმერთი და ხატი უარყვეს...
        სურდათ და,
        დააგვიანდათ,
ხე რომ ექციათ ნეკერად.
        ღვთის ხმა ესმოდათ ნიადაგ
        –
        გოეთესა და
                ეკერმანს.

1983

***

“ბუნებაში” ნამთვრალევი,
ახლა თვალებს ნელა ახელს.
ვით სიზმარი აყვა დილას,
რომ მალავდა წუხელ სახეს
ცა –
მთიებით ნაყვავილარს.

1964

ზღვა სავსეა პირთამდე

ღელვის სადარბაზოდან
ისმის გრგვინვა-გრიალი,
        მხიარული ზვირთები –
ერთმანეთს კვლავ ირთავენ.
ნაპირთან კი ხეები ხსოვნის
სანთლებს
        ანთებენ, –
რადგანაც ზღვა ცბიერი,
        სავსე არის პირთამდე,
დაღუპულთა სულებით,
ჩრდილებით და ლანდებით.

1979

ჰყვავის იასამანი

გონის სარკე შორეთში,
ეძებს ცისფერ სავანეს,
ასე დაუსრულებლივ.
სადაც ჩვენი სულების –
ჰყვავის იასამანი.

1992

შავი ჩოხით ახლავს ღამე

მიბრძანდება ცის მეუფე,
მისდევს მნათთა –
დიდებულნი.
შავი ჩოხით ახლავს ღამე.
ზღვა კი ძილად მიგდებულა
და თვალებს არ ახამხამებს.

1969

მოკვდავთ ცხოვრება არის წუხილი

მილიარდი წლის იქიდან მოსული,
მოკვდავთ ცხოვრება
არის წუხილი
და არ ემორჩილება არც ლოცვას,
არც არულს.
სანამ განშორდება ხილული –
უხილავს,
ყოფნა ფიზიკური,
ასტრალურს.

1963

“ზეცის შვილი” – ანმარე

ხედავ,
მიღმა ხუთიათასწლეულის,
“მენგურელთა” ცაზე დღე დგას
მზიანი,
არ აწუხებს ლოცვა უფლის
კამარას.
პირველყოფილ “ქიმეთსა” და “ქიანას”
მორჭმით უფლობს
“ზეცის შვილი” ანმარე.

1999

***

ზღვები წამით რომ ჩათვლემენ,
როგორც ცხადად,
ისე სიზმრად,
კვლავ ხედავენ ომებს მძვინვარს.
დაღლილ ათასწლეულებს კი,
თავიანთვე მტვერში სძინავთ.

1989

ნიმროდი

თითქოს მესმის წარსულიდან,
ანმარეს ხმა და ჩურჩული:
ცად აღწევდა ჩემი ოხვრა
და საფლავში ვტიროდი,
ჩემს უძველეს ქალაქ კოლხას,
როს დაარქვეს ნიმროდი.

2001

საირხე

პროფ. ჯურხა ნადირაძეს

დახუნძლული საოცრებით –
ხე წარსულის,
აქვე რომ დგას,
მალე უნდა დაირხეს,
რომ გახედოს ცას – ოცნებით
იდუმალმა გარდასულმა
საირხის.

1979

***

ქრისტეს რწმენის გზით მივალი,
სარკოფაგებს რომ ჩავუვლი,
ვიგებ გოდებას წარმართთა:
– ქვეყნად,
ვინც მოგვცა სიცოცხლე,
ისევ იმან წაგვართვა!!!

2004

აიეტის სასახლე

ოქროს ჭიშკრით და ბაჯაღლო
                                    სვეტებით –
        დგას სასახლე
                    კოლხთა დიდი
                    ბრძანებლის,
მოკირწყლული ოქროსავე ფილებით,
ლავგარდანზე ელავს ვაზის მტევნები.
დღით და ღამით მოქუხს...
                                    აღარ ილევა –
        ზეთისხილის,
        ღვინის,
            რძის შადრევნები.

1964

***

დედამიწა ხვატისაგან დასკდა,
ცას შესცქერის უხმოდ
მთა და ბარი –
ელოდება ჩამოვარდნას ნამის.
მზე წავიდა შესახვედრად მთვარის,
ვარსკვლავები ჩურჩულებენ დამეს.

1969

***

ლოცვებს ამბობენ ანგელოზები
და ქრისტეს ეკლის ადგამენ
        გვირგვინს.
იუდეველნი ხელისულზე აჭედენ
        ლურსმნებს.
        დუმს მაცხოვარი...
        ო, ალბათ იგი, –
        მამა ღმერთის გულისთქმას უსმენს.

1971

ზავი

ავად ვარ,
სიკვდილი თავს მესხმის,
სიცოცხლის ნაწილს მართმევს,
არ მაძლევს უფლებას დავის.
მე მაინც ვდგები და
ხელს ვართმევ:
– ცოტახნით, გთხოვთ, დავდოთ
ზავი.

2005

***

ვიღაცა ზის და ქუხილს ხელით,
სივრცეებს ელვის
ჰამაკით არწევს.
ცას, მთვარე უჩანს, ვით ძუძუს კერტი.
ღამეს –
მთიების მხედრულით ნაწერს,
დილა დაუსვამს მზის ოქროს
წერტილს.

1986

ამირანის ქოხი

ლეგენდების ნისლში,
ცეცხლის დისკო ადგას,
ყამარს უხმობს ოხვრით:
“ამირანის მთა”* და
“ამირანის ქოხი”**

1976

---

* “ამირანის მთა” – ახალქალაქის მახლობლადაა.
** “ამირანის ქოხი” – მყინვარწვერთან ე. წ. ბეთლემი.

ოქრო-ვარსკვლავთა ლურსმულით

გადახვეწილან ღრუბლები,
ქარები სივრცეს არწევენ...
შორით ჩანს მთვარის
რუსხმული.*
კრთის ცა –
წინაპრის ნაწერი,
ოქრო-ვარსკვლავთა ლურსმულით.

1967

* რუსხმული – ორმო, ხარო, ფუღურო.

***

დღეებმა ყოფნის ველ-მინდვრები,
ჩუმად აცელეს...
და რა ხანია,
ულმობელი ჟამთა საცერით –
იცრება ჩუმად,
ცრუ პოეტების
ვაკხანალია და ღრიანცელი.

1977

იაპეტს და ჰიპერიონს

პონტოს პირას მონანავე
        კოლხეთს,
        სურს რომ მათი ლანდის –
        ოქროს სხივი კი ერიოს.
ხმობს: ჰელიოსს* და ატლანტის,**
        იაპეტს*** და ჰიპერიონს.****

1979

---

* ჰელიოსი – კოლხეთის მეფის აიეტის მამა.

** ატლანტი – კოსმიურ კატასტროფაში დაღუპული (სახელმწიფო, კუნძული, კონტინენტი) ტიტანი.

*** იაპეტი – (და არა ნოეს იაფეტი) ატლანტის მამა.

**** ჰიპერიონი – ჰელიოსის მამა.

მეიმედები

მარადისობის ფრთების ფათქუნით,
თეთრი დღეები,
ასე ფარულად,
შორს გაფენილან, როგორც გედები.
და არც სიცოცხლე,
არც სიყვარული,
სიკვდილო! –
მე შენ მეიმედები!

2005

P.S.

იაპეტი და ჰიპერიონი ძმები არიან,
ჰეელიოსი იაპეტის ძმის შვილია.

***

შორიდან მოსულმა ქარიშხლის ძახილმა,
უეცრად შეაკრთო ღრუბლების
სინაზე
და დაამძიმა ნისლები –
ფოფინა.
მერე მომწუხრმა ცის ვიტრინაზე –
ბაჯაღლო ვარსკვლავები
გამოიფინა.

1969

საქართველო – 1921

ვით იესოს სამოსელი,
მათ "განიყვეს" საქართველოს
ბრძოლით დაგლეჯილი ტანი:
თათრებს ერგოთ – საინგილო,
სომხებს –
ლორე და ტაშირი,
თურქებს – ართვინ, არტაანი.

1964

ბროწეულის ყვავილები

თავიანთ სიობლეს ტირიან ღრუბლები,
რა ქნან,
სიმარტოვეს ვერსად იჩივლებენ,
მიტომ ცის კალთაში არჩევენ კოტრიალს.
ძირს კი,
ბროწეულის ყვავილის
ყვინჩილები,
კვლავ დგანან ქარში და
ერთმანეთს კორტნიან.

1960

ისევ არმაზის სამარხები

ბრძოლით დაღლილებს ალბათ სული
        კბილით ეჭირათ,
        მაინც გაექცათ...
მიტომ წვანან კბილდაკრეჭილი.
და აი ახლა,
        წინაპანთა ჩვენთა საძვალე,
        წამიერ დუმილს...
        სხვა არაფერს აღარ გვაძალებს.

1964

ტოტზე სიშორის

როს მზის სათქმელად ცა პირს გააღებს,
გაიელვებენ ვარსკვლავების
ოქროს კბილები.
და მერე გვიან, ტოტზე სიშორის,
სადღაც,
თავის გუნდს ჩამორჩენილი, –
ყანჩის ყივილის სიბრალული
მიისილება.

1962

ნერჩები

რა ახლო იყო...
ახლა შორს არი,
გარდასულ დღეთა ჯებირები
და ნაპირები.
გადავიწყებას წუხან ნერჩები*.
და როცა სიკვდილს დააპირებენ,
მწვანე ფოთლებად მათი ხსოვნა
ხეებს შერჩებათ.

1969

* ნერჩები – ეზო-კარები.

ბრილი

სამარხებს და სამაროვნებს,
მზის საკინძეს უხსნის ბრილი
და საამო ესმის ხმები:
მკვდრებით –
მუცელ გაბერილი,
რაჭის კუზიანი მთების.

1998

***

საიდანღაც მოვა ქარი,
გადაზომავს ზღვას არშინით
და შეუმტვრევს ღამეს კარებს...
იელვებს და...
ცა მაშინვე,
ადამივით მთვარის ფოთოლს აიფარებს.

1964

ქამის, სემის, იაფეტის

განა მიწიერმა არსმა,
უწყალობა თვითონ ზენამ
და ჟამით მოიაფეთი
სურთ: სხვას მიაწერონ ენა:
ქამის[1],
სემის[2],
იაფეტის[3].

1964

[1, 2, 3] იგულისხმება: ქამის-სვანური, სემის-მეგრული, იაფეტის-იბერიული ენები.

ჩვენი გემები

მოსულთ ქართვლის ცის ჩამოსაქცევად,
        სპარს და ოსმალოს
        ბევრჯერ შევებით...
ადრე სხვა იყო...
        ზღვა საბრძოლო იყო ტაშირი,
ახლა კი ბათომს ჩვენი გემები,
        წელზე არტყია პატრონტაჟივით.

1965

ჩემო კოლხეთო

დედაშვილობას! –
        კიდევ ერთხელ უნდა მომხედო,
                ჩემო კოლხეთო!
და ევქსინის პონტოს ზღვაურო.
        მე, ვით პოეტი,
        ამაქვეყნად, როგორც მოვედი,
                კვლავ ისე წავალ,
        სულ უჩუმრად და უხმაუროდ.

2003

ტყემლის ტოტი

ზამთრის სუსხიდან გამოპარულმა,
        სოფლის შარაზე მიმავალმა
        მწვანე აპრილმა,
ბაღებს სითეთრე კვლავ მიათოვა,
და ტყემლის ტოტი –
        ღობის გარეთ გაინაპირა,
მიუალერსა და მოატოვა.

1969

***

გული დარდმა აგიოხრა,
მალე გაირიყები.
ვერ ხვდებიან ბრიყვები,
რა ტკბილი ხარ,
და ამოხარ.
ქვესკნელის გზა მიჰყვები,
ზე –
ვერასდროს ამოხვალ!

2004

რაჭაში

რიონს ისევ მიჰკივის
ქვედრულა და ბარულა,
ისმის ხმები ხეორის:
– ელოდეთო! –
ფარულად,
ქვეყნად წარღვნას მეორედ!!!

2000

***

სიკვდილი ნეტარებაა,
სიცოცხლე არის გაძლება...
კარგად იციან აფრებმა,
რომ ქარებს ძალუძთ აფრების
და გემთა
გაარაფრება.

1969

მალხები

მხატვარ ნიკო ხერკელაძეს (მალხს)

აყარეს კოლხური მიწიდან,
მას მერე აცვიათ თალხები,
მათთვის არ არსებობს
დღესასწაულები.
და სადღაც დაღესტნის აულებში –
ხმა მესმის წინაპარი მალხების. *

2002

* *მალხები – შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები კოლხური (საქართველოს) ტომები, რომლებიც, მემატიანის გადმოცემით, ვახტანგ გორგასალს (Vს.) აუყრია და გადაუსახლებია ჩეჩენ-ინგუშეთში.

***

გაჩენიდან ჩემს დღეებს,
ყოფნა უჩნდა იოტად,
თურმე იყო იოტი.
მიტომ მეც მიკიოტად,
არყოფნას მივკიოდი.

2001

***

ვარსკვლავები –
                  და-ძმები,
ვიცი, თუ სად მეგულვის
                  და გულს უხარია.
ცა – ოდაა მეგრული
                  და მზე – ბუხარია.

1958

***

დედა კი არა,
        დედინაცვალი,
        მიწა მუცელს რომ ამოიყორებს,
მერე ვით შარბათს,
        დააყოლებს ცრემლსა და გლოვას.
ერთ მშვენიერ დღეს სიკვდილი მოვა
        და უკვდავებას თან მოიყოლებს.

1979

***

როდესაც ხერთვისს უახლოვდება
        მტკვარი, კვლავ დარდობს
        ტაოს,
        ართვინსაც
და მათზე ბრუნავ დღეებს უშავესს.
        მოვა ღამე და ნამტირალევ
        თვალებს,
        ქართვლის ცას,
მთვარის ქათქათა ცხვირსახოცით
        ამოუმშრალებს.

1964

არ ჩანს არავინ

ცა ხმას იბოხებს
        და თან მრისხანებს,
        ხელში უჭირავს ელვა,
შიშველი,
სანაპირო კი ჩუმად ჩურჩულებს:
არ ჩანს არავინ,
        ღმერთო, გვიშველე!
თავს გვესხმის, ჩვენი ჩაყლაპვა სურს
        ზვირთთა ურჩხულებს.

1966

რადგან

გადაჭიმული კიდით-კიდემდე –
        სამშობლო მზის და
        კოლხი ასულის,
მიჩნეულია რადგან ედემად
        და რადგან ჰქონდა დიდი
        წარსული,
კოლხეთის დიდი მომავალი მეიმედება.

1963

***

მთიდან ყინვის და თოვლის,
ისევ მოისმის ზარა,
აქ არტანუჯს და
სამცხეს,
ცას ვიღაც ჩუმად ბზარავს,
მერე თეფშივით ამსხვრევს.

1971

***

ზღვა და მიწა ერთურთს ებრძვის,
ცა ვერ არჩევს მტყუანს,
მართალს.
ქარიშხალი კვლავ მიუძღვის
ზვირთთა ბანდას.
ვიღაცა ჭრის მოქათქათე ღრუბლის
ფართალს,
მერე ელვის ოქროსფერი ძაფით
ბლანდავს.

1962

ჟამთა უდაბნო შენი სულია

სისხლის კვამლით და ბრძოლის ყიჟინით,
ჟამთა უდაბნო შენისლულია,
ათასწლეულთა უჭირს ტარება.
ეს ქარი არა!
შენი სულია,
კოლხეთის წარსულს რომ
ეპარება..

1961

ცისკრის ირემი

ჩამომდგარი გამთენიის კარად –
ღამე შიშით,
ჭაღარას კვლავ ირევს.
სტკივა მთვარეს შუბლიცა და კეფაც,
რადგანაც მზე მისდევს
ცისკრის ირემს,
მწევარ-მნათთა აღარ წყდება ყეფა.

1970

***

როცა შევდექ მთებზე იალღუჯის,
გარდასულმა გაიელვა ლურჯად.
თვალი მოვკარ გიშს,
შექსა და ფიფინეთს.
მათ წარსულში ხმლები ჩაებღუჯათ
და...
სამთავე ქართვლს კვლავ
შემოფიფინებს.

1974

***

მზე დღის ხელებში სახეს იმალავს,
სასაფლაოზე მოთქმა არ ცხრება
(ეჰ, სიკვდილს ცრემლით ვინ
დააფეთებს?!).
ქარი კი ჰკიდებს ტოტზე ცაცხვების
ყვავებს,
ისე ვით ღამის ნაფლეთებს.

1961

ვერე

მეცხრე ცაზე ავიყვანე
        და ვარსკვლავთა ქვიშით ვფერე,
        მერე თბილისს ჩავახუტე,
        ვეალერსე და ვეფერე.
ახლა მტკვარი აკვანს ურწევს,
            ვერ აძინებს,
                ღნავის ვერე.

1964

უუძველესი საქართველოა – კოლხეთი

გამოგივლია წელი ათასი,
        გკლავდნენ...
                გმარხავდნენ...
                        არ შეგიცოდეს.
ცხოვრება იყო ცოდვის კალო
                        და ჯოჯოხეთი.
და შენ, ქართველო!
                უნდა იცოდე!
უუძველესი საქართველოა – კოლხეთი.

1959

მესხეთში

ღამე თეთრითმოსილი
მივამგვანე ინდიელს,
წარსულის ყურთბალიშზე სძინავს
კლარჯეთს, ტაოსაც.
მირიადი მნათისგან სივრცე
დაცარიელდა.
– მოყმეს ეძებ,
ტყაოსანს?
ცრემლის ბილიკს მისდიე
და ის გამოქვაბულში მიგიყვანს
ტარიელთან.

1971

ოცნების კუნძულები

ამ მოჩვენებითი ღიმილის ცის იქით,
დარდების მთები და
ცრემლების ველია,
წუხილის ღრუბლებით ჩამოხუნძლულები.
და მაინც: დღესასწაულებს ელიან –
ჩემი ოცნების კუნძულები.

1998

შვიდიათასწლეული

ეს ღრუბელი კი არა,
არის შავი ნაღველი,
და ეს მთები ლამაზი –
არის მიწა ორსული.
ღამეს კვლავ ეშინია დღის კარების
მოხურვის.
შვიდიათასწლეული პონტოს ზღვას რომ
აღელვებს,
წარსულიდან მოსული –
სული არის კოლხური.

1960

უნთებს ჩირაღდნებს

წვიმის კალმებით ნაწერ ტომებს –
        თეთრი ღრუბლების,
        მოვა ქარი და თითით გადაშლის.
და დიდ ხუთშაბათს ანდა კვირადღეს,
        მე, აქ, სიონში სანთლებს,
        ის კი ცის ლურჯ ტაძარში,
უკვდავ წინაპრებს –
        მნათობების უნთებს ჩირაღდნებს.

1967

***

ცხოვრება არის –
სულ ერთი დღით მოფრენა
პეპლის,
მისთვის ერთია სრა-სასახლე,
ქოხი თუ ვილა.
პატარა ბორცვზე იები წუხან:
– ციცქნა სიცოცხლე,
რომ მოჰყვა დილას,
ვით წაიყვანა საღამოს მწუხრმა.

1977

ცა

ცა –
უფლის სახლია,
        უხილავის ხელით ნაგები.
                ვარსკვლავები –
                        ჭუჭრუტანებია,
გამჩენს ჩვენს სათვალთვალოდ,
        ჩუმად რომ დაუტანებია.

1960

***

სულ არ აწუხებთ ყაყაჩოებს
სიმაღლე ზეცის,
ოღონდაც ტანზე მზის კაბა
ეცვათ.
არ ენაღვლებათ იებს და ვარდებს,
რომ მთვარეს სახეს უნაოჭებს
მიწაზე დარდი.

1976

***

ფრთების სიდიდე დაბლა გეწევა,
თუმცა სიმაღლე გიცავს
მთებური,
წლებმა კი მაინც ბევრჯერ დაგტორეს.
თავს მოიკლავდი,
მაგრამ ძვირფას მიცვალებულებს,
უჭირისუფლოდ ვეღარ დატოვებ.

2001

წარსული მომპარეს

პრეისტორიის გზით და ბილიკით,
            როდესაც აქეთკენ მოვქროდი.
            გზადაგზა ათასმა მტერმა და
                  მოყვარემ,
პირთამდე აღსავსე მზითა და ოქროთი,
მე,
ჩემი კოლხეთის წარსული
                  მომპარეს.

1960

ღიმილის გვირილები

ქართვლის ცასავით ამაღლებული,
გადმოგვყურებენ მთები –
დიდრონი.
ირგვლივ ლამაზი ფიქრი ირევა.
და სიხარულის მწვანე მინდორი,
მოფენილია შენი ღიმილის –
გვირილებით.

1990

უშენოდ

შენ არ ხარ ჩემთან,
და ეს ედემი, ვისდა ვუშენო?!
ნუთუ არ გჯერა,
რომ დღე კი არა, წამიც უშენოდ,
მყოფნის სასჯელად.

1974

ცხოვრება

ბადი და კორდი,
გზაა თუ ხიდი,
ვიღაცა მოდის,
ვიღაცა მიდის,
სხვა არაფერი.

2000

სიცოცხლე ერთი ღამეა

არ ვიცით, გამჩენს საით მივყავართ
    და ჩვენ თვალები
            მიტომ გვაქვს სველი.
ბედის ვარსკვლავი ქრება,
                ენთება.
სიცოცხლე ერთი ღამეა გრძელი,
მერე მარადისად გათენდება.

1966

***

მოუხმობს შავ ღრუბლებს
        და საქმეს ართულებს
        საღამო –
                ვექილი.
დგას ცის ხე – ქართული,
        მთიებით ტოტებდაზნექილი.

1961

***

აქედან –
        იქით არაა შორი,
        და ერთხელ მაინც ხომ უნდა
                ვნახოთ,
თუ როგორ ცხვება კვერი ობლისა.
სიკვდილ-სიცოცხლე –
        გვერდ-გვერდით სახლობს,
        წავალთ,
        გადავალთ ჩვენ მეზობლისას.

1960

თიანეთში

აქ –
სასაფლაოს ბროცვებთან,
        მარხია რამდენი ოცნება,
        და მიტომ მწუხარე ტუიას –
            ჩამოუშლია ნაწნავები.
ქედები – ჩანჩქერებს ყმუიან,
        მთები – სიმწვანეს წკავწკავებენ.

1972

***

რომში კი არა,
ყველა გზა,
მიდის ქალაქში არყოფნის...
ცხადია, არა ტყუილი
მითი რემის და რომულის.
მიტომაა მგლის ყმუილი –
სამყაროს შიშად რომ უვლის.

1962

***

გვიან თუ ადრე,
ერთხელ ყოფნას გამოვექცევი,
რადგან არყოფნის ვარ ნაშიერი.
ჩემს ლაბა დღეებს შევხსნი აპეურს.
ძვალი და ტყავი,
მუდამ მშიერი,
ჩემი სიკვდილი რომ დავაპურო.

2003

ტაო-კლარჯეთში

(დისტიქი)

1

წინაპართა ძვლებით ნაგებს –
        მტრის ისარი ვეღარ აცდა
        და დრო ახლა ცოცხლად მარხავს:
ოშკს და ოთხთას,
        ხახულს,
                ხანძთას,
იშხანს, არტანუჯს და პარხილს.

2

ნახო ძველი საქართველო,
        დავიწყებას შესძლებ განა?!
        ყოვლის მმუსვრელ ჟამსაც უკვირს,
        რომ ხსოვნაში მტკიცედ დგანან:
ბარეთელთა, ტბეთი, ნუი
        და ტაძრები უნათლესი:
        ოშკი, ოპიზა და ბანა,
        მერეთა და გუნათლესი.

1968

გზა და გზა

მიაფრიალებს ნუშების მანდილს
აპრილი და კვლავ ბავშვივით
ლაღობს;
ორსულ ქვევრებით გვიხდება
შროშა.
გზისპირ ყაყაჩო –
პატარა მაღლობს,
უჭირავს, როგორც ქართული დროშა.

1963

***

ჩვენს უძვირფასეს მიცვალებულებს –
ემტვრევათ კუბოს ფიცარი,
და ნეკნი,
სანამ იქცევიან ფიალებად და
დოქებად.
და... სძინავთ საფლავებს ათასჯერ
დაბეკნილთ –
სიკვდილისა და წვიმების ფლოქვებით.

1977

სინანული

ვითარც მეხნაკრავი დავალ
,პირს მიტომ ვერ მიხსნის დანა:
კლარჯეთს უნახავი დამრჩა –
მიძნაძორი,
და ბერეთა,
პარეხი და დოლის ყანა.

1972

***

ალბათ,
ბოლოს მწირივით,
მარტოდ-მარტო დარჩები,
მიტომ დედამიწაზე
დახვალ მთვარის ქეჩებით.
კაცი ათას ნარჩევი,
იცი, ცას ვერ შერჩები,
მიტომაა დღითი-დღე
მარტოობას ეჩვევი.

2000

***

ცხოვრება ზოგისთვის სიზიფეს ლოდია,
ზოგისთვის თამაშია და
აღლუმი.
რა ქნან...
მოკვდავნი მიდიან
,მოდიან...
მათ კარგად იციან: ცა – ვარსკვლავებით,
მიწა – სიკვდილითაა დანაღმული.

2001

სიცოცხლე რაა

ბუხრის კუთხეში მიმჯდარი დედა,
აი, ახლა მიქსოვდა წინდას,
ჩამაცვა,
მკლავზე გადამიწვინა.
სიცოცხლე რაა?!
თითქოს წვიმდა და...
წამი და... უცებ გადაიწვიმა.

1996

***

ამასოფლად ლაღობს ცოტა,
სიხარული მეტს აკლია
და ამიტომ ჯოჯოხეთი,
ეჰ, რამდენჯერ გინატრია.
ჩემო,
ყოფნა – სპექტაკლია,
არყოფნა კი – თეატრია.

1997

შენი ხატებია

გაივლის დრო-ჟამი...
        და შენი ხატება,
რომელსაც დაფნის გვირგვინი ედგმევა.
        მტკვარი და მთაწმინდა რომ
                მოენატრება,
შემოვა თბილისში...
        და დილის მზესავით,
ყველაზე უმაღლეს კვარცხლბეკზე
                შედგება.

1997

***

იმედების წიწილები,
მიაქვთ ჩემი,
დღეთა ქორებს,
წლებიც იწვის აბედებად.
სიცოცხლემ თქვას ქვეყნად,
თორემ,
სიკვდილი კი არ ბერდება.

2002

***

ქართვლის ცის ჭერს რომ თავებს
ურტყამენ –
მთები სიმაღლეს მიტომ
მორცხვობენ.
ქედებს ქათქათა უჩანთ ბაყვები,
შესციცინებენ შორით ბორცვები,
ზღვა კი ბოლთას სცემს
და იყაყვება.

1962

***

სადღაცა ღრუბელს ღრუბელი
ისევ მიერეკება,
უქნევს მამა-პაპურად –
წვიმის შოლტებს ელვიანს.
დამხობია მთა მიწას,
ვით მლოცველი მუსლიმი.
დახოცილი მთიებით –
ღამე ტროას ველია,
და ცას მთვარე მოუჩანს –
აქილევსის ქუსლივით.

1962

გაუდაბურებული

თუ არ გავხარ ჩირაღდანს,
        სიდინჯე და სიმაღლე
        თუ არ მოგდევს მთებური.
ყოფნა არ ღირს ჩირადაც –
        გაუდაბურებული.

1989

შალვა ახალციხელი

...ეს მოხდა გარნისთან,
როდესაც ჯალალის სპამ მიწა დანისლა.
ქართლს წაეპოტინა როდესაც
მტრის ხელი.
მტერს მიეგება – იქ ახალციხელი,
რომელმაც მომხდურთა ლაშქარი
შერისხა...
და ისევ ღალატი...
(მკვდრებს საკმელს უკმევდნენ...)
და რომ არ ენახა მტერს სახე
ფერმკრთალი,
მიეჭრა მომხდურს და გაუპო
გულ-მკერდი
და პეშვით სახეზე მტრის სისხლი
შეისხა.

1963

როგორც დანტე

მარად ცისკენ მზირალ შენს სულს,
        დედამიწა ვეღარ დატევს,
მალე უნდა ჯოჯოხეთის ჯვარზე ეცვა.
        და შენც ისე,
            როგორც დანტე,
მალე უნდა მიეახლო თავანს ზეცის.

2002

კოპალა

კარატის მისადგომებთან,
ლახტის თუ ელვის ბურჟღუმით,
კოპალა ამოზევზევდა:
დევთა ჯოგს ერეკებოდა
აკუშურაის ხევზედა.

1971

***

მიმავალს და მომავალს,
ითვლის ათასწლეულებს
მაგრამ ისევ იფერებს:
სიჭაბუკეს –
სიკვდილი,
და სიცოცხლე –
სიბერეს.

2001

***

ქვეყნად ყოველთა ფიქრთამპყრობელი,
სიმყუდროვეში ზის გალურსული
და ცის დაფაზე ელვის –
ლურსმულით
ჩვენთვის, ო, ჩვენთვის
რაღაცას აწერს,
მაგრამ წაკითხვას ჩვენ ვეღარ ვასწრებთ.

1973

***

ქუხილის ხმაზე თუ შუქზე ელვის,
        რომ სამშობლოზე –
                სიმღერებს ვწერდი,
ვურევდი ოქროს ვარსკვლავთა ქვიშას,
და დღეს –
    ვუსვამდი მზის ცეცხლის წერტილს,
    ღამეს – მთოვარის ძახილის ნიშანს.

1969

ხანძთაში

ჟამთა დიდი ზღვა ღელავს
ვიღაცა ხმობს: ვენჩურე,*
სდიე დღეებს გაცთენილს,
ფიქრში ვხედავ –
მერჩულეს,
მლოცველს სულზე ხანძთელის.

1964

---

* ვენჩურე – ვერ გაცურავ (მეგრ.)

ცის მთებში დავეხეტები

იქნებ წინაპრის ნასახლარს
    სადმე რომ გადავეყარო
    (სანამ იმედი ციალებს),
ცის მთებში დავეხეტები.
    ვარსკვლავთა ბუნაგებიდან –
    მესმის ფარ-ხმალთა ჟღრიალი
    და ხმები ლოდთა ხეთქების.

1959

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ 5
*** ახურავთ ყინვის მუზარადები 25
*** არმაზის მთებთან..... 26
*** გათენებული ლოცვებით 27
ხეთასთან..... 28
*** ზღვა ხმელეთს ზვირთთა..... 29
*** შავ-თეთრ არაგვის საყართან..... 30
*** კლდეებს მომწყდარი ზვავები..... 31
*** ჭმუნვით ელოდათ ცა 32
*** კვლავ გადაჰკრა ელვამ 33
*** ვინ იცის..... 34
*** როცა ფეხის ხმა..... 35
*** ქარიშხლის ხელით..... 36
*** ჟამს მიმწუხრისას სამოთხიდან 37
ალავერდის ტაძარი..... 38
*** ელვის ნახევით..... 39
*** თეთრი ქარები 40
*** ძველ კოლხებს და დიაოხებს..... 41
*** კბილი მომკვეთა 42
*** ცა არის მდინარე..... 43

*** ამაღლდები!.....44
*** წყვდიადში ჩავა მზე.....45
*** არა სპარსული.....46
*** დედამიწაზე ფიქრმა მთვარე.....47
*** როცა მისცემს მეხი.....48
*** დღე და ღამე.....49
*** ეფემერების არყოფნიდან.....50
*** ოქროს კრამიტით ნაწერ.....51
ცა – ავგეას თავლებია.....52
*** ცეცხლის ნისკარტა და 53
*** ცისქვეშ ლოცვად დგას.....54
ღამის პეიზაჟი.....55
*** ღმერთთან მებრძოლი.....56
*** ღვთის შესაწირავ.....57
*** ამოფრენილი სიჩუმის.....58
ჭავლი-ნარცისი.....59
*** რადგან ღელვათა ცეცხლი.....60
იორი.....61
*** უკვე მესამედ ყივის.....62
*** ზღვა.....63
*** მიწა მზერას ვერ უსწორებს.....64
*** სიჩუმეში მდგარ.....65
*** გაჩენიდან ვარ 66

*** პოეზიის ცის კიდეზე 67
*** ყურცქვიტა ნაკადულები 68
*** სადღაც ვედრება მესმის 69
*** გულმილეულნი 70
*** მირიად სანთლით 71
*** მწუხრის ვარსკვლავი ცის 72
შოუ ნანა 73
*** ღელვა წამით შეაკრთობს 74
*** კოლხეთს კი არა 75
*** ელვა ხანდისხან ყელს 76
*** კოლხეთის ცის ქვეშ 77
*** ხის ტოტებზე შემორჩენილ 78
*** გულგაბოლილი დარდით 79
*** სხვამ იდარდოს 80
*** უფალს თვალებში 81
*** ათასწლეულებს მარადისობა 82
ვით დავითს და კონსტანტინეს 83
მუხები 84
*** მთების შავ წარბებს მაღლა 85
*** გამთენიისას მოვიდა წვიმა 86
*** ჩავა მზე და დასავლეთის 87
*** გამომდგარან და ზღვას 88
ძირულა 89

*** პაწაწინა ბილიკებს 90
შემოდგომა ეგრისში 91
*** გადიხარხარებს და მერე 92
ისევ კოლხეთი 93
ჭექა-ქუხილი, წვიმა 94
*** ჟამი ვერ ჰგუობს 95
*** მწუხრი ეფერება მთებს 96
მგოსნის სული 97
*** განა ყორნებს აკლდათ 98
სისონა დარჩია 99
*** სულ სხვა პლანეტებიდან 100
ზღვები და ოკეანები 101
*** ჟამთა წარღვნას 102
60 103
*** უკურნებელი სენი 104
იძირება მთვარის ნავი 105
*** ცხრა მთის იქიდან 106
*** გამობერვიათ ქვევრებს 107
*** გაჩახჩახებულ ღამის 108
ვარსკვლავიანი ღამე 109
*** დადგება ჟამი 110
მარტი ზღვაზე 111
*** ღვთის სულივით სპეტაკი 112

მეგრული ფაცხა 113
*** სხვა არაფერი... 114
ქართული მიწა ბრძოლის ველია 115
რედუტკალესთან 116
მაღაროსკარს და კაწალხევს 117
*** სიბრძნის ლაგვინში 118
*** წუთისოფლის სივერაგეს 119
დაბრუნება 120
*** ვარსკვლავებით და მზით 121
მთვარის მუმია 122
ნაბუ-ქალდე-ნეცარი 123
*** გადაწინწკლული სისხლით 124
ადრე არ იყო სამყარო დიდი 125
ღამე ურთა-აბასთუმანში 126
ისევ ანმარე 127
*** ვითარცა ცოდვის შვილმა 128
*** ცის სიჩუმეში ელვამ 129
*** ჩემი კოლხეთის ვზივარ 130
ახაცა და აფირხაცა 131
*** ვითარც პეგასი 132
აია, ადამ 133
გალი 134
ფერდობი 135

სარფი 136
*** კოლხეთის ძველ 137
*** იდუმალების სხივით 138
*** მწუხრი თითქოს 139
*** ლოცვებს ამბობენ 140
*** არ ჩანს მეფე 141
ქიმეთი 142
*** სადღაც აღსავლით 143
ქალდებსა და კარდუღელთ 144
ისევ გამოცხადება 145
ქალაქი კოლხა – 52 საუკუნე 146
იდუმალი საზღვარი 147
ყაყაჩო უცნობი ჯარისკაცის 148
*** სიმყუდროვეში ბილიკებად 149
ლიხს აქეთ და ლიხს იქით 150
ნეფერტიტად წოდებულს 151
*** ქარი ნაპრის თეთრ 152
ბაბილონის გოდოლი 153
უღმერთონი 154
*** “ბუნებაში” ნამთვრალევი 155
ზღვა სავსეა პირთამდე 156
ჰყვავის იასამანი 157
შავი ჩოხით ახლავს ღამე 158

მოკვდავთ ცხოვრება არის 159
“ზეცის შვილი” – ანმარე 160
*** ზღვები წამით 161
ნიმროდი 162
საირხე 163
*** ქრისტეს რწმენის გზით 164
აიეტის სასახლე 165
*** დედამიწა სხვატისაგან 166
*** ლოცვებს ამბობენ 167
ზავი 168
*** ვიღაცა ზის და ქუხილს 169
ამირანის ქოხი 170
ოქრო-ვარსკვლავთა ლურსმულით 171
*** დღეებმა ყოფნის 172
იაპეტს და ჰიკერიონს 173
მეიმედები 174
*** შორიდან მოსულმა 175
საქართველო – 1921 176
ბროწეულის ყვავილები 177
ისევ არმაზის სამარხები 178
ტოტზე სიშორის 179
ნერჩები 180
ბრილი 181

*** საიდანღაც მოვა ქარი 182
ქამის, სემის, იაფეტის 183
ჩვენი გემები 184
ჩემო კოლხეთო 185
ტყემლის ტოტი 186
*** გული დარდმა 187
რაჭაში 188
*** სიკვდილი ნეტარებაა 189
მალხები 190
*** გაჩენიდან ჩემს დღეებს 191
*** ვარსკვლავები 192
*** დედა კი არა 193
*** როდესაც ხერთვისს 194
არ ჩანს არავინ 195
რადგან 196
*** მთიდან ყინვის და თოვლის 197
*** ზღვა და მიწა ერთურთს 198
ჟამთა უდაბნო შენი სულია 199
ცისკრის ირემი 200
*** როცა შევდექ მთებზე 201
*** მზე დღის ხელებში 202
ვერე 203
უუძველესი საქართველოა- 204

მესხეთში 205
ოცნების კუნძულები 206
შვიდიათასწლეული..... 207
უნთებს ჩირაღდნებს..... 208
*** ცხოვრება არის..... 209
ცა 210
*** სულ არ აწუხებთ 211
*** ფრთების სიდიდე 212
წარსული მომპარეს 213
ღიმილის გვირილები..... 214
უშენოდ 215
ცხოვრება 216
სიცოცხლე ერთი ღამეა 217
*** მოუხმობს შავ ღრუბლებს..... 218
*** აქედან..... 219
თიანეთში..... 220
*** რომში კი არა 221
*** გვიან თუ ადრე..... 222
ტაო-კლარჯეთში 1 223
ტაო-კლარჯეთში 2 224
გზა და გზა..... 225
*** ჩვენს უძვირფას..... 226
სინანული 227

*** ალბათ 228
*** ცხოვრება ზოგისთვის 229
სიცოცხლე რაა 230
*** ამასოფლად ლაღობს ცოტა 231
შენი ხატებია 232
*** იმედების წიწილები 233
*** ქართვლის ცის ჭერს 234
*** სადღაცა ღრუბელს 235
გაუდაბურებული 236
შალვა ახალციხელი 237
როგორც დანტე 238
კოპალა 239
*** მიმავალს და მომავალს 240
*** ქვეყნად ყოველთა 241
*** ქუხილის ხმაზე 242
ხანძთაში 243
ცის მთებში დავეხეტები 244

მილოცვა

„ნიკოლოზ ფირცხალავას" 100-წლისთავთან
დაკავშირებით, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების ლოცვისთვის, ლაღისა
ამ ოთხი, ერისადმი ბევრ ფიქრიანი
ბუნებისა ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 45

VAZHA EGRISELI

“KOLKHURI PHSALMUNEBI”

ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 45

გამომცემლობის	
რედაქტორი	– რუსუდან ჯგუბურია
მხატვარი	– სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი	– ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი	– ნანა დუმბაძე
კორექტორი	– ნატო დოლბაია
კომპიუტერული	
უზრუნველყოფა	– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ლილე დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com